საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბეჭ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ორშაბათი, 4 მაისი. 2020 წ. №60 (8986) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ?!

ჩინეთი განზრახ მალავდა ან ანადგურებდა კორონავირუსის ეპიდაფეთქების მტკიცებულებებს

ამის შესახებ ნათქვამია 15-გვერდიან ანგარიშ-ში, რომელიც „ხუთი თვალის“ სადაზვერვო ალიანსმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია) მოამზადა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავრობა კორონავირუსის არსებობის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას მალავდა, ახდენდა ზეწოლას ექიმებზე და ანადგურებდა ლაბორატორიებში არსებულ მტკიცებულებებს, რითაც საფრთხე შეუქმნა სხვა ქვეყნებს.

ანგარიშის ავტორთა აზრით, ჯერ კიდევ 2019 წლის დეკემბერში ოფიციალური პეკინისთვის ცნობილი იყო, რომ კორონავირუსი გადამდებია, თუმცა, ეს ფაქტი მხოლოდ 21 იანვარს დაადასტურა. 3 აპრილს, ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნულმა კომიტეტმა კორონავირუსის ნიმუშების განადგურებისა და უცნობი ინფექციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე აკრძალვის დაწესების ბრძანება გასცა.

ამასთან ერთად, **ანგარიშში აღნიშნულია, რომ ავსტრალიის მთავრობა აფინანსებდა და ასწავლიდა ჩინელ მეცნიერებს, რომლებიც იკვლევდნენ გენეტიკურად მოდიფიცირებულ კორონავირუსებს, რომლებიც ღამურებიდან ადამიანზე ვრცელდება და მკურნალობას არ ექვემდებარება. საუბარია უხანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერთა ჯგუფზე, რომელმაც 2013 წელს იუნანის პროვინციაში ღამურების ფეკალიების ნიმუშები გამოიკვლია. მაშინ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ნიმუშებში აღმოჩენილი 50 ვირუსიდან სულ მცირე ერთი 96%-ით ჰგავს SARS-CoV-2-ის ვირუსს.**

თუმცა, Daily Telegraph-ის ცნობით, „ხუთი თვალის“ ალიანსში შემავალ სპეცსამსახურებს შორის კორონავირუსის წარმომავლობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ავსტრალიური დაზვერვა მიიჩნევს, რომ ვირუსი უხანის ბაზრობაზე გაჩნდა, ხოლო ამერიკულ სპეცსამსახურების, მათ შორის CIA (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) და FBI (გამოძიების ფედერალური ბიურო), ავსტრალიური მხარის პოზიციაში ეჭვი შეაქვთ.

ილია მეორე: ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს დროს, როცა ეკლესიას უჭირს, ხალხს უჭირს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, მადლი და წყალობა ღვთისა არ მოაკლდება ეკლესიას

პატრიარქმა მრევლს მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღე მიულოცა.

„გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. დღეს არის მენელსაცხებლე დედების ხსენება. დღეს კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ ის, რა გააკეთეს მენელთსაცხებლმა დედებმა, რამდენი გაბედული ნაბიჯი გადადგეს.

იმ დროს, როცა მოციქულებმა დატოვეს ჯვარცმული მაცხოვარი, მენელსაცხებლე დედები ჯვართან იდგნენ და იქ იზიარებდნენ ტკივილს მაცხოვრისას. მენელსაცხებლე დედებმა თავისი მხრებით იტვირთეს სიმძიმე ეკლესიისა, ისინი ქადაგებდნენ მთელ მსოფლიოში და ჩვენ ვმადლობთ და თაყვანსა ვცემთ მათ ღვაწლსა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენმა წინაპრებმა თამარ მეფე მიაკუთვნეს მენელსაცხებლელ დედებს და გაუთანასწორეს მისი, თამარ მეფის, ღვაწლი მენელსაცხებლე დედებს. მარიამ მაგდალინელი და სხვები გალობენ და ზეიმობენ მაცხოვრის აღდგომას. მათი ლოცვა-კურთხევა შეგეწიოთ თქვენ და საქართველოს“, — აღნიშნა ილია მეორემ.

ქრუანტელის მომგვრელი ისტორია

კიდევ ერთხელ „თეთრ მელაზე“ და „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიაზე ⑥



ცრუ დამპყრობელმა მაშინაც უკადრებელი იკადრა!

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის „სამშვიდობო“ ხელშეკრულება

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების როგორც ზოგადი, ისე ცალკეული მუხლების შეფასება ხელშეკრულების დადებისთანავე, 1920 წლის მაისიდან, დაიწყო. პოლიტიკოსთა შორის გამოიკვეთა ორი რადიკალურად განსხვავებული შეფასება — დადებითი და უარყოფითი. მოგვიანებით პოლიტიკოსების შეფასებები ისტორიოგრაფიაში გადავიდა და ისტორიკოსებიც ორ ბანაკად გაიყვნენ. დღემდე ვითარება არ შეცვლილა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ 1920 წლიდან დაწყებული, პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა მიერ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების შეფასებისას გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა, ხელშეკრულება ან მხოლოდ დადებითად ან მხოლოდ უარყოფითად არ შეეფასებინა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებდნენ ხელშეკრულების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. ვფიქრობთ, ასეთი შეფასება გაცილებით ობიექტური და მისაღებია.

იხ. 4 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 7 მაისს

დედა ნახე, დედა ნახე...

გიული ალასანიას წარმატების და 10 000 დოლარიანი ხელფასის საიდუმლო

„იცით თუ არა, რომ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსის – 15 ათასი კვარდატული მეტრი ფართობის მქონე შენობა – გიული ალასანიამ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში ჩალის ფასად გადაიფორმა.

მანამდე კი, ბათუმის საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტს“ სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცა!“ (ამავე უნივერსიტეტის 12, 5-პროცენტიან წილს გიული ალასანიას ძმიშვილი ნიკა ალასანია ფლობს. თავის მხრივ ის „საქართველოს უნივერსიტეტის“ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მეწილეა):

„საქართველოს უნივერსიტეტი“ მეწილეა „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის“ ასპროცენტიანი წილისა;

„საქართველოს უნივერსიტეტის“ ასპროცენტიან მფლობელობაშია აგრეთვე „საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლაც“;

„საქართველოს უნივერსიტეტს“ სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე შექმნილი აქვს ავეჯის დამამზადებელი ქარხანა, სადაც საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის საჭირო ავეჯს ამზადებენ.

„საქართველოს უნივერსიტეტის“ მფლობელობაშია ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი სასადილოს უზარმაზარი შენობა, სადაც დღეს კაფე „სადილი“ ფუნქციონირებს.

2010 წელს გიული ალასანიას სასწავლო დაწესებულებამ, კერძო საინვესტიციო კომპანიის მეშვეობით (OP6IC Overseas Private Investment Corporation) გათეთრებული ფული 12 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შეირგო (ალასანია და მისი დამქაშები აცხადებენ, რომ 01.03.2007 უნივერსიტეტმა აუქციონზე 1.322.647 დოლარად შეიძინა და იმავე წელს I, II და III სასწავლო კორპუსი გაარემონტა. სპორტული დარბაზი 27.08.2007 წელს აუქციონზე 296.592 დოლარად შეიძინეს, 9273 კვ.მ მიწის ნაკვეთი და სპორტული მოედნები უნივერსიტეტმა 2.050.000 დოლარად იყიდა, რომელიც OPIC-ის 12.000.000 დოლარის „ინვესტიციით“ (გათეთრებული ფულით) კეთილმოაწყვეს);

„საქართველოს უნივერსიტეტი“ 14 პროცენტიან წილს ფლობს, აგრეთვე – „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში“.

გიული ალასანია გახლავთ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრორექტორი.

„სააკაშვილის მამა „ბალნეოლოგიური კურორტის“ დირექტორ-მესაკუთრეა, ხოლო სააკაშვილის ძმა – საწვავისა და სადაზღვევო ბიზნესის ერთ-ერთი მონოპოლისტია“... – ასე ეხმაურება იურისტი ირაკლი ზაქარეიშვილი მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას ვიდეომიმართვას, რომელიც სააკაშვილმა თავის ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნა.

„გამარჯობა, მე მიხაილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია ვარ. ახლახან გავარკვიე, რომ პაიარკოვმა ისაუბრა სახლზე, რომელიც ჩემ მიერ არის ნაყიდი. ფაქტია, რომ მე ვარ პროფესორი, დამფუძნებელი და პრეზიდენტი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო უნივერსიტეტის – ეს არის „საქართველოს უნივერსიტეტი“, ჩემი ხელფასი დიდი ხანია თვეში დაახლოებით 10 ათასი დოლარია, ასე რომ, მთელი ცხოვრება პატიოსნად ვშრომობ, ისევე, როგორც ჩემი შვილი“, – ამბობს გიული ალასანია ვიდეოში.

PROGRESSNEWS.GE

პასუხი „აგრესიულ ტესტირებაზე“

თუ არ ვცდები, თერმისტოკლემ თქვა ფრაზა, რომელიც ფაქტობრივად ჩვენს დღევანდელ ყოფას აბსოლუტურად ზუსტად შეეფერება – ჩვენ დავიღუპებოდით, დაღუპვის პირას რომ არ ვყოფილიყავით.

დიახ, ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართულმა პოლიტიკურმა „კულტურამ“, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია, ჩამოყალიბდა და ე.წ. პოლიტიკური სპექტრიც არსებულ სტანდარტს იშვიათი გამონაკლისის გარდა „ერთგულად“ მიჰყვებოდა, ქვეყანა რაღაც უაზრო, ამორფულ პოლიტიკურ კლასტერში მოაქციეს, რომლისგანაც გამოსვლა რომ არა პოტენციური რევოლუცია, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

საბედნიეროდ, რევოლუციური რყევები ყოველგვარი ბასტილიების აღების, ან მტკვარში „ავრორას“ შემოცურების გარეშე პანდემიამ მოახდინა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

უმთავრესი, რაც გამოჩნდა იყო ის, რომ სრული კრახი განიცადა ე.წ. აგრესიულმა ლიბერალიზმმა, რომელმაც ირონიით რომ ვთქვა, „აგრესიულ ტესტირებას“ ვერ გაუძლო და „დადებითი“ პასუხი აჩვენა.

გამოჩნდა ის, რომ დღევანდელ საქართველოში რეალურად მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა არსებობს. არსებობს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ თავიანთი როლები საკმაოდ ზუსტად გადაინაწილეს.

„ქართული ოცნება“ შესანიშნავად ართმევს თავს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის აუცილებლად გასაკეთებელ საქმეს, ხოლო „პატრიოტთა ალიანსი“ მაქსიმალურად ცდილობს შიდა პოლიტიკური სივრცის იმ ნაგვისგან გაწმენდას, რომლებიც მეტასტაზებივით იყვნენ და ჯერჯერობით ისევ არიან მოდებულნი.

ახლა არ დავიწყებ ჩამოთვლას თუ ვინ რას აფუჭებს და ვინ რას აკეთებს.

ამას ყველაფერს ყველანი კარგად ვხედავთ და შესაბამის დასკვნებსაც ვაკეთებთ.

რაც შეეხება აგრესიულ ლიბერალიზმს, რომელიც ფაქტობრივად დამარცხდა არა დებატების, აზრთა ჭიდილის, ან კლასიკური ტიპის კამათის წყალობით, არამედ დამარცხდა სრულიად მარტივი და ერთის შეხედვით სასაცილო მიზეზების გამო: გამოჩნდა, რომ კედელზე დაკიდებულ სერტიფიკატებს საბჭოთა დიპლომი სჯობია. გამოჩნდა, რომ ევროსაბჭოს რეზოლუციებსა და „შეშფოთებებს“ საქმის კეთება „უჯოკრავს“. ყალბ დაპირებებს და თაღლითობას ხალხზე რეალური ზრუნვა ანეიტრალებს.

გაგიკვირდებათ და მიუხედავად ამ ყველაფრისა, ამ ხალხის მწირი აზროვნება და მდაბიოთათვის დამახასიათებელი უაზრო სიჯიუტე სძალავს დაღუპვის წინ მდგარი ნორმალური ადამიანის გადარჩენის ინსტინქტს და კიდევ უფრო მეტი მარაზმის თქმისკენ უბიძგებს.

მაგალითად გეტყვით, რომ ამ ორიოდე დღის წინ პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა საოცრად აბსურდული განცხადება გააკეთა: „ნებისმიერ სხვა სიტუაციაში ის პროგრამა, რომელიც იყო წარმოდგენილი ჩაითვლებოდა საარჩევნო მოსყიდვად, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში ამ მოცულობის ფინანსური თანხების დარიგება ხდება. დღეს ბევრ ადამიანს უჭირს, დახმარება სჭირდება და პირველი მიზანი ბუნებრივია, რომ ამ ადამიანებს დავეხმაროთ. ამიტომ, ცოტა განსხვავებული სიტუაცია გვაქვს.

საგანგებო მდგომარეობამ ასევე გამოიწვია ისიც, რომ პოლიტიკური პროცესი ოპოზიციისთვის გააჩერა და უმრავლესობისთვის გააქტიურდა. ხელისუფლება ნებისმიერ სიტუაციას გამოიყენებს სათავისოდ, ამიტომ სახელისუფლებო პარტიისთვის პოლიტიკური პროცესი არის გააქტიურებული. ჩვენი დეპუტატებიც ძირითადად კამპანიის რეჟიმში არიან, ეს არის დახმარების დარიგება და არა საპარლამენტო საქმიანობა და მუშაობა. ოპოზიცია ფაქტიურად განეიტრალებულია და არ ჩანს“.

სრული სისულელე, რომელიც აშკარად ჩანს, რომ წამოსროლილია არა პოლიტიკური პროცესების რეალურად შეფასების გამო, არამედ იმისთვის, რომ „ვიღაცამ“ გაიგონოს და მას როგორც დემოკრატიისთვის მებრძოლ ლიბერალს, „იქ, სადღაც“ კიდევ დამატებითი ქულები ჩაუწეროს.

რა თქმა უნდა შეიძლება ამ განცხადების განხილვა და იმის ჩვენება, რომ აბსოლუტურად ყველა წინადადება სრული იდიოტიზმია და ხალხის ინტერესებისგან ცა და დედამიწასავით არის დაშორებული, მაგრამ არ გავაკეთებ და ამ სიამოვნების საშუალებას თქვენ გითმობთ.

ძალიან უხერხული რაღაც მინდა ვიკითხო (არანაირი ქსენოფობია და ურბანული არასრულფასოვნების კომპლექსზე არანაირი აქცენტის გამახვილება): – რატომ აქვთ მარნეულის, ბოლნისის მაცხოვრებლებს და საქართველოს ზოგიერთი რეგიონის წარმომადგენლებს სახელმწიფოსთან მკვეხარა და იდიოტური ურთიერთობა?

– რატომ აქვთ ამ ხალხს, რომ ან აგრესიით, ან „ჩაწყობით“ („ჩემი ნათესავის ნათლულის მეზობელი პოლიციაში მუშაობს“) იმის იმედი, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს დანაშაული გაუვათ, ან სხვა დროს მთვრალები დასხდებიან საჭესთან?

– რატომ ჰგონიათ, რომ მე, მშვიდობიანი მოქალაქე გია გაბრიჭიძე არ მივალ მაგათთან და დედას არ ვუტირებ (მაშინ ხომ დაუძახებენ პოლიციას და სასწრაფოს).

ასევე სრული სისულელეა ტრანსგენდერების გადარჩენაზე „ნასკებიდან ამოხტომა“ მაშინ, როცა თბილისიდან სულ რამდენიმე კილომეტრში ხალხი კიტრის ჩაბარების მოთხოვნით აქციებს მართავს, საშიშროებას ქმნის და მიშა-მიშას ყვირის, ან ფიზიკურად უპირისპირდებიან სასწრაფო დახმარების ბრიგადას, მაშინ როცა ისინი მათი და მათი ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად არიან მისულები.

ამ ე.წ. ოპოზიციამ ასევე სრული კრახი განიცადა პოსტპანდემიური ეკონომიკური კრიზისის შეფასებაში.

მათ არამც თუ რაიმე რეალური გეგმა, რომლის ირგვლივაც იქნებოდა მსჯელობის, კამათის შესაძლებლობა, დადეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბოღმის ნთხევით და სხვადასხვა წვრილმანი თაღლითისთვის დამახასიათებელი „სქემებით“ შემოიფარგლნენ.

სამაგიეროდ ყველამ დაინახა, რომ საქართველო ინვესტორებსა და მეწარმეებისთვის ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობაზე უფრო მიმზიდველი გახდა (ფრანგული გამოცემა l'opinion). დაინახა, რომ ენერგეტიკის სექტორში ერთ-ერთმა გიგანტმა, იაპონურმა კომპანია TEPCO-მ საქართველოში ინვესტიცია განახორციელა და სხვებიც აპირებენ შემოსვლას.

მოკლედ რომ ვთქვა, პანდემიური რევოლუცია დაიწყო და კიდევ ერთხელ გავიმეორებ თერმისტოკლეს სიტყვებს – ჩვენ დავიღუპებოდით, დაღუპვის პირას რომ არ ვყოფილიყავით.



გადარჩენამდე კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ მთავარია, რომ გადარჩენა დავიწყეთ.

გია გაბრიჭიძე

მამუკა არეშიძე: თუ მკითხავთ – შეიძლება სააკაშვილის ინიციირებაში რუსული კვალი ვნახოთ? – რასაკვირველია!

მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში ვიცე-პრემიერად დანიშვნის საკითხი ჩავარდა. უკრაინის უმაღლესმა რადამ სააკაშვილის კანდიდატურა თავშივე უარყო. ყველაზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სააკაშვილის პერსონის წარდგენის ინიციატორმა თავიდანვე თამაშგარე მდგომარეობა არჩია. ვლადიმერ ზელენსკი სააკაშვილის გარშემო ატეხილ სკანდალს შორიდან უყურებდა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ზელენსკის სააკაშვილის დანიშვნას „ვიღაც“ სთხოვდა. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ამბობს, რომ რთულია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ ვინ ლობირებდა სააკაშვილის კანდიდატურას, თუმცა ფაქტია, რომ ზელენსკი ეს ნამდვილად არ იყო.

მამუკა არეშიძე: – დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში, აქტიურად მონაწილეობენ ტრანსნაციონალური ჯგუფები, რომელთაც აქვთ არა პოლიტიკური, არამედ ბიზნეს-ინტერესები. ხშირ შემთხვევაში, მათი ინტერესები სხვადასხვა თემის გარშემო ჯგუფდება. შესაძლებელია, მათი ქვეყნები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, იყოს ერთმანეთთან პოლიტიკურ კონფრონტაციაში, მაგრამ ერთმანეთს ემთხვეოდეს მათი ინტერესები. ამ ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ ჯგუფებში, მიხეილ სააკაშვილს ჰყავს გარკვეული ლობისტური ჯგუფი, რომელიც მასზე აკეთებს ხოლმე აქცენტს. მე მგონია, რომ ამ ჯგუფების ინიცირებული იყო ამ კანდიდატურისთვის ასეთი მაღალი პოსტის შეთავაზება. მე ვფიქრობ, ზელენსკი ვერ ერევა კორუფციას, მიუხედავად იმისა, რომ ის სწორედ ამ ლოზუნგით მოვიდა. ამიტომ, მისთვის მისაღები იყო ასეთი ტიპის პოლიტიკური თამაში.

ზელენსკის თამაში იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც მისი გუნდის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, მისი ფრაქციის შემადგენლობამ ამ კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა, ამ ტესტირების პროცესში. ეს მანიშნებელია იმისა, რომ ზელენსკის მაინცდამაინც არც უზრუნია ამ საკითხზე.

– არ უზრუნია თუ, შესაძლოა, არა აქვს იმხელა გავლენები, რომ სააკაშვილის კანდიდატურა გაეტანა? ეს ხომ მის იმიჯსაც ურტყამს?

– ზელენსკის თავის პარტიაში იმხელა გავლენა კი აქვს, რომ თუ მკაცრად დააყენებდა საკითხს, გაიტანდა, მაგრამ არ მოინდომა. როგორც ვრწმუნდებით, ამ ინფორმაციის მიზანი იყო, ჩაეტარებინათ ტესტირება საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური სპექტრის და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. სხვათა შორის, ქართული მხარის გარდა, ბევრმა არ მოუწონა ეს გადაწყვეტილება, ზოგმა კულუარულად, ზოგმაც ღიად, ვგულისხმობ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებს. იმიტომ კი არა, რომ იქ ვიღაცას სააკაშვილი არ მოსწონს, პოლიტელიტის წარმომადგენლებმა ძალიან კარგად იციან, მიხეილ სააკაშვილი რომელი გუნდის ინტერესებს ემსახურება. აქედან გამომდინარე, მათ არ სჭირდებათ ისეთი ადამიანი, რომელიც ამ კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს ემსახურება უკრაინაში.

– ეს რა ჯგუფია?

– რაც შეეხება იმას თუ რა ჯგუფია ეს, მე გამიჭირდება სახელების და გვარების დასახელება, მაგრამ თუ მკითხავთ – შეიძლება იქ რუსული კვალი ვნახოთ? – რასაკვირველია, შესაძლებელია. შესაძლებელია გავიგოთ ზოგიერთი ამერიკული გვარი, შეიძლება გავიგოთ ზოგიერთი ევროპული მედიის დამფუძნებლის გვარი, თუმცა კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებ. ძალიან კარგი მაგალითია ის, რომ ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ სენატის წარმომადგენლები ვიცით, რა დღეში ჩავარდნენ „ფრონტერას“ გამო, იმიტომ, რომ როგორც ირკვევა, „ფრონტერა“ მათ საარჩევნო მარათონს აფინანსებს და უხდიდა ფულს ლობისტური საქმიანობისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ლობისტური საქმიანობა არ არის კანონით აკრძალული. ანუ, კანონის თვალსაზრისით, მათ არაფერი დაურღვევიათ, უბრალოდ ტყუოდნენ. ამით მე მინდა იმისი მინიშნება, რომ ასეთი რამ მსოფლიო პოლიტიკაში სამწუხაროდ ხდება.

თუ რაში სჭირდებოდათ მიხეილ სააკაშვილი, მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ ამ ფიგურას იყენებდნენ ფარული საქმიანობისთვის. სააკაშვილის ფიგურა ძალიან კარგად იცის მან, ვინც მის ლობირებას ახდენდა. ჯერ ერთი, სააკაშვილი მათ მადლობას გადაუხდიდა, ანუ მათი ფინანსური თუ ბიზნეს-ინტერესები დაცული იქნებოდა, მაგრამ მეორე ნაწილისთვის, რომელიც, ვთქვათ, რუსეთის ინტერესებს ემსახურება, არ არის გამორიცხული, რომ სჭირდებოდეს ისეთი სკანდალური პიროვნება, რომელიც მესამე კაცობას არ შეურიგდება. სააკაშვილი, ნებისმიერი მოვლენის დროს, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო პირველი. ამიტომ, ის რომ ყოფილიყო ვიცე-პრემიერი, ორი-სამი თვე კი დაკავდებოდა იმ კორუფციასთან ბრძოლით, მაგრამ მერე უკვე მოინდომებდა პრემიერის ფუნქციების გადაბარებას, შემდეგ არ არის გამორიცხული პრეზიდენტის საქმეებშიც ჩარეულიყო და ასე შემდეგ.

– გამოდის, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესები არ ყოფილა გათვალისწინებული?

– ასე ვთქვათ, საქართველოს ინტერესებსაც გაეწია ანგარიში. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ასეთი ანალოგია – საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ოლიგარქი, რომელმაც მოინდომა პოლიტიკაში მოსვლა, საქართველოს მხარემ გაითვალისწინა ოფიციალური კიევის აზრი და ძალიან დელიკატურად თავიდან აირიდა. მაგრამ, ჩვენ ხშირ შემთხვევაში გადამლაშება გვიყვარს ხოლმე. მარტო საქართველოს გულისთვის არ მომხდარა ეს ამბავი, იქ სხვა ინტერესებიც დაეჯახა ერთმანეთს, რომელმაც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა დაბლოკა. თუმცა ვიმეორებ, ზელენსკის სააკაშვილის დანიშვნა მაინცდამაინც არც უნდოდა. ზელენსკიმ ძალიან კარგად იცის, რომ სააკაშვილის კორუფციასთან ბრძოლის იმიჯი არის ყურით მოთრეული. იმიტომ კი არა, რომ საქართველოში პირველ პერიოდში არ იბრძოდა კორუფციის წინააღმდეგ. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით მიხეილ სააკაშვილმა ძალიან სწორი ნაბიჯები გადადგა 2003-2004 წლებში.

მართალია, ძალისმიერი, მართალია, ყოველგვარი ადამიანის უფლებების დარღვევის ფონზე, მაგრამ გადადგა და მანდ დამთავრდა ყველაფერი. როგორც კი თავისიანებით დაიწყო ახალი კორუფციული სისტემის შექმნა, კორუფციასთან რეალისტური ბრძოლა დამთავრდა. მაგრამ ასეთი იმიჯი შეუნარჩუნდა და ამ იმიჯით სპეკულირებს დღესაც.

– საარჩევნო წელია და სააკაშვილის გავლენა როგორი იქნება ქართულ პოლიტიკაზე, ფაქტია, მას ჯერ კიდევ ჰყავს თავისი მხარდამჭერები. მედიაში, სოციალურ ქსელებში საკმაოდ აქტიურობს და შეძლებისდაგვარად პროცესებშიც არის ჩართული

– სააკაშვილის სატელევიზიო აქტივობა არის გარკვეულ ჩარჩოში მოქცეული. რაც უნდა ილაპარაკოს, ის არის ორიენტირებული კონკრეტულ ამომრჩეველთა ჯგუფზე, რომელიც არის 10-15%, დანარჩენისთვის ის საინტერესო არ არის. საინტერესო არ არის არა მარტო საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც სააკაშვილი მისაღები არ არის, არამედ მათთვისაც, ვისთვისაც სააკაშვილი თავის დროზე მისაღები იყო. დღეს სააკაშვილი მათთვის, პირიქით, ხელის შემშლელი გარემოებაა. მე ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ დანაყოფებს, რადგან ის ართმევს მათ ამომრჩევლებს. ეს არის ის ამომრჩეველი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება არ მოსწონს, არ უნდა, განწყობილია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და ვერ გაუგია, ვის დაუჭიროს მხარი, სააკაშვილი კი მათ ხელს უშლის.

– არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, ოპოზიცია უკვე აკეთებს განცხადებებს, რომ შესაძლოა, არჩევნების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს...

– ხელისუფლება ამბობს, რომ თუ ეს ყველაფერი გეგმის მიხედვით დამთავრდა, მაშინ ასწრებენ კონსტიტუციურ შესწორებებსაც და საარჩევნო პროცესის დაწყებასაც. თუ იმ ტემპში წავიდა პროცესები, როგორიც დღეს არის, ვფიქრობ, უნდა მოესწროს ყველაფერი იმიტომ, რომ ჩვენთან ისეთი კატასტროფული მდგომარეობა არ არის, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია.

– ხელისუფლება თუ შეინარჩუნებს ამ რეიტინგს, მის ინტერესებშიც არ შედის არჩევნების თარიღის გადაწევა, მაგრამ ფაქტია, რომ შექმნილი მდგომარეობით თანდათან ბევრი უკმაყოფილო ადამიანია..

– დღეს ხელისუფლება არის გამარჯვებული. რასაკვირველია, როდესაც ანტიკრიზისული გეგმა ამუშავდება, შეიძლება ბევრი იყოს უკმაყოფილო, მაგრამ ვიცი, რომ ამ გეგმის შემდეგი ეტაპის გეგმა მზადდება. თუ ხელისუფლებამ მოახერხა თავისივე გადაწყვეტილებების სწორი მენეჯმენტი, მაშინ ის მდგომარეობა რაც დღეს არის, შენარჩუნდება და წესით, არაინარი არჩევნების გადადება ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს. რაც უფრო შორს გადაიდება არჩევნები, მით უფრო დამუხრუჭდება ქვეყნის განვითარების პროცესი. ასე რომ, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის გაუთავებელი საუბარი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებას არჩევნების გადადება უნდა, ეს არის მტკნარი სიცრუე. ამიტომ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ეს კეკლუცობა.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

ხურვალეთიდან გატაცებულები გაათავისუფლეს

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული დათა ვანიშვილის შვილიშვილი და რძალი ოკუპანტებმა გაათავისუფლეს. ისინი უკვე ხურვალეთში სახლში იმყოფებიან და ჯარიმის გარეშე გაათავისუფლეს. ისინი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა 17 აპრილს დააკავეს და არსებული ინფორმაციით, ახალგორში კარანტინში გადაიყვანეს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით ამოქმედებული იყო ცხელი ხაზი და ინფორმაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მიეწოდა.

„ცხელი ხაზით“ მიღებული ინფორმაციით სუს-ი ადასტურებს, რომ აღნიშნული პირების მიმართ დაწესებული უკანონო შეზღუდვები მოხსნილია.

სრულ დამპყრობელმა მაშინაც უკადრებელი იკადრა!

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის „სამშვიდობო“ ხელშეკრულება


ლევ კარახანი


გრიგოლ ურატაძე

გიორგი ჩიჩერინი

(პირველი გვერდიდან)

პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა არგუმენტები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უარყოფითად შეფასებისთვის ასეთია: 1) 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ უნდა დაედო იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდა; 2) ხელშეკრულებამ საქართველოს საფრთხე თავიდან ვერ აცილა – რუსეთმა საქართველო მაინც დაიპყრო; 3) ხელშეკრულება რუსეთს საქართველოს დაპყრობაში დაეხმარა, რადგანაც მან დააკანონა ჩვენში რუსეთის მეხუთე კოლონა; 4) ხელშეკრულებამ ხელი ვერ შეუწყო საქართველოს საერთაშორისო აღიარებას და ვერ განამტკიცა ქვეყნის მდგომარეობა; 5) ხელშეკრულებაში იყო ისეთი მუხლები, რომლებიც ლახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

წამოყენებული იქნა კიდევ სხვა არგუმენტები (ქართული დიპლომატიის გულუბრყვილობა, დიპლომატების მიერ ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი ღალატი და ა.შ.), რომლებიც ისტორიის გაყალბებისთვის საჭირო ემოციურ ფონს ქმნის და კარგ სამსახურს უწევდა და უწევს ისტორიის ფალსიფიკატორებს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საბჭოთა რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციები გამოეყენებინა. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირის გარეშე დარჩა. ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი პროგერმანულ ორიენტაციაზე მდგომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის იურისდიქცია შეწყდა. ამ რეგიონებს დიდი ხნით დაეპატრონა მოხალისეთა არმია (სარდალი გენერალი **ანტონ დენიკინი**). 1920 წლის გაზაფხულისთვის წითელმა არმიამ მოხალისეთა არმია დაამარცხა. არმიის ნარჩენებმა ყირიმის ნახევარკუნძულს შეაფარეს თავი. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს **დე ფაქტო** ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისთვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნეიტრალიტეტის მომიზეზებით სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა არ დააყოვნა და ოსმალეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ასე მივიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების აუცილებლობამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: პირველი. თუ სამხრეთ კავკასიაში ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; მეორე. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე აღიარებისთვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადება განაპირობა კიდევ ერთმა ფაქტორმა. პარიზის კონფერენციაზე (გაიხსნა 1919 წლის იანვარში) კონფერენციის მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარება არ შედგა. ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა) საქართველოს დელეგაციას პირდაპირ განუცხადეს, რომ საქართველოს დე იურე ცნობა შესაძლებელი გახდებოდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთი დე იურე ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დელეგაციას ასევე განუცხადეს, რომ პარიზის კონფერენციას შეეძლო საქართველოს მხოლოდ დე ფაქტო ცნობა. ამრიგად, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უბიძგა ორმა გარემოებამ:

1) 1920 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთის გამარჯვებამ მოხალისეთა არმიაზე, წითელი არმიის მოახლოებამ საქართველოს საზღვრებთან; 2) საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების თაობაზე პარიზის კონფერენციის მიერ საქართველოსთვის მიცემულმა რჩევამ. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებით ომის თავიდან აცილებას ესწრაფოდა. საქართველოს მთავრობაში კარგად ესმოდათ, რომ ხელშეკრულება საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან ვერ დაიცავდა. ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება არ უნდა დაედო, უგულებელყოფენ პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელსა და რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდში (1918 წლის გაზაფხული – 1920 წლის დასასრული) შექმნილ ურთულეს, არაპროგნოზირებად სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას.

საბჭოთა რუსეთს ველიკოდერჟავული მისწრაფებანი მხოლოდ საქართველოს მიმართ არ გააჩნდა. რუსეთის გეგმებში ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის დაპყრობაც შედიოდა. საქართველოსაგან განსხვავებით, ამ ქვეყნების დაცვა ევროპის (ანტანტის) სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა. ეს კარგად იცოდნენ ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და ფინეთში. მიუხედავად ამისა, თავიანთი ანტირუსული განწყობილებით ცნობილ ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა უარი ვერ თქვეს საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებაზე. 1920 წლის 2 თებერვალს (ე.ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებამდე სამი თვით ადრე) დაიდო ესტონეთ-რუსეთის ტარტუს ხელშეკრულება; 1920 წლის 12 ივლისს (ე.ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ) გაფორმდა ლიტვა-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება; 1920 წლის 11 აგვისტოს (ე.ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის შემდეგ) ხელი მოეწერა ლატვია-რუსეთის რიგის ხელშეკრულებას; 1920 წლის 14 ოქტომბერს (ე.ი. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებიდან ხუთი თვის შემდეგ) დაიდო ფინეთ-რუსეთის ტარტუს ხელშეკრულება.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ეს იყო შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის ევროპისა (ანტანტისა) და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას, რუსეთთან დამოკიდებულებაში პარიზის კონფერენციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას, საბჭოთა რუსეთის გამარჯვებას სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტზე (გენერალ ანტონ დენიკინისა და გენერალ პიოტრ ვრანგელის მოხალისეთა არმიის განადგურებას სამხრეთ რუსეთში, გენერალ ნიკოლაი იუდენიჩის მარცხს პეტროგრადთან, ხოლო ადმირალ ალექსანდრ კოლჩაკის ჯარების განადგურებას ვოლგისპირეთსა და ციმბირში), ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები იყო სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით ნაკარნახევი აუცილებლობა. ამ აუცილებლობას ვერ გაექცნენ ევროპის (ანტანტის) სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შემავალი ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ფინეთი. მაშ, როგორღა გაექცეოდა ამ აუცილებლობას სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის უზარმაზარი არმიის პირისპირ მარტო დარჩენილი საქართველო? მით უფრო, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მეზობელი – ოსმალეთი სულ უფრო აღრმავებდა პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას საბჭოთა რუსეთთან.

1920 წლის გაზაფხულისთვის საქართველოს მდგომარეობა იმაზე გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ამას ზოგიერთი ისტორიკოსი წარმოაჩენს. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისთვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. თუმცა, გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი **პიოტრ ვრანგელი**. წითელმა არმიამ ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა საბჭოთა წყობილებას სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა. დაძაბული ვითარებით ისარგებლა პოლონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია **სიმონ პეტლურას** სარდლობით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 1920 წლის 6 მაისს პოლონელებმა **კიევი** დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. საბჭოთა რუსეთს საბოლოოდ პოლონეთის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მოსკოვს აშინებდა პოლონეთისადმი ანტანტის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა, რომლის მასშტაბების ამოცნობა იმხანად შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა, საქართველოსთან მოლაპარაკებას დასთანხმებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების წევრი **გრიგოლ ურატაძე**, ხოლო რუსეთის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის მოადგილე **ლევ კარახანი (კარახანიანი)**. გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოლაპარაკების დაწყების წინ საქართველოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით საგანგებო ღონისძიებები დაგეგმა. 1920 წლის 1-2 მაისის ღამით მოსკოვიდან მიღებული მითითების თანახმად, ქართველი ბოლშევიკები თავს დაესხნენ თბილისის იუნკერთა სასწავლებელს. 2 მაისს აზერბაიჯანში დაბანაკე-

ბულმა რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილებმა საზღვარი გადმოლახეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. 1920 წლის 2 მაისს დაწყებულმა საომარმა ოპერაციებმა სერიოზულად დაძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. მალე რუსეთმა საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა და წითელი არმიის ნაწილები კვლავ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააბრუნა.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში დიდი ქვეყნების (ინგლისის, ოსმალეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ოსმალეთს შორის დადებული **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. რუსეთის შეჭრას აზერბაიჯანში წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო ოსმალეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ ოსმალეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ ოსმალეთს რუსეთისთვის საქართველოც დაეთმო.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – **„რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატება“**, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – **„რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება“**, რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად ოცდაერთი მუხლისაგან შედგება. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: **„რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომელიც კი ქართველი ხალხისა და ქართული მიწის მიმართ გააჩნდა რუსეთს“**. რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მომენტში საბჭოთა რუსეთს, ყოველივე იმის აღიარება, რაც პირველ მუხლში ჩაიწერა, მაინც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების **მეორე მუხლიც**, რომელშიც ვკითხულობთ: **„რუსეთი ვალდებულებას იღებს, უარი თქვას საქართველოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ნებისმიერი ფორმით ჩარევაზე“**. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლს ამ ხელშეკრულებაზე „განაწყენებული“ ისტორიკოსები ან გვერდს უვლიან, ან სასხვათაშორისოდ მოიხსენიებენ.

ვახტანგ გურული,



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

გუშინ თავისუფალი პრესის მსოფლიო დღე აღინიშნა

1991 წლის 3 მაისს აფრიკელი ჟურნალისტები შეიკრიბნენ ნამიბიის დედაქალაქ ვინდჰუკში რეგიონალურ სემინარზე, რომელიც შეეხებოდა დამოუკიდებელი და პლურალისტული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელშეწყობას. მათ მიიღეს ე.წ. ვინდჰუკის დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდეს ქვეყნების მთავრობებს პრესის თავისუფლებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფა.

ამ სემინარზე მიღებული დოკუმენტის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ 1993 წლის 21 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, სწორედ 3 მაისს აღენიშნა თავისუფალი პრესის მსოფლიო დღე.

კარლ ჰარცელი: პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს

ევროკავშირი ხაზს უსვამს მედიის მნიშვნელობას და პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღსანიშნავად აცხადებს კონკურსს ჟურნალისტიკაში ევროკავშირის 2020 წლის პრიზის მოსაპოვებლად. 3 მაისთან – პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომლის თემაც წელს არის „ჟურნალისტიკა შიშისა და მიკერძოების გარეშე“, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განცხადება გააკეთა.

„დღეს, კოვიდ-19-თან „ომის“ უპრეცედენტო პირობებში, ვირუსზე სწრაფად დეზინფორმაცია და ყალბი ამბები ვრცელდება, ამიტომ, წლევანდელი 3 მაისის – პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დღეს ჟურნალისტები, პროდიუსერები, მკვლევარები, ფოტოგრაფები და მედიის სხვა პროფესიონალები ბრძოლის წინა ხაზზე არიან და გვაწვდიან ინფორმაციას იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დამოკიდებულნი მათ საქმიანობაზე. მჯერა, რომ ყურადღებით გააგრელებენ საქმიანობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ მათ. თავისუფალ და ღია საზოგადოებაში მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მიმდინარე წლის თემა – „ჟურნალისტიკა შიშისა და მიკერძოების გარეშე“, კარგად ასახავს ჟურნალისტიკის ძირითად პრინციპებს. იმ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეწოლის, ცილისწამებისა თუ საქმიანობაში ჩარევის პირობებში, რომელსაც თავისუფალი მედია განიცდის მთელ მსოფლიოში, ევროკავშირი არის და იქნება თავისუფალი მედიის მოკავშირე, დამცველი და მხარდამჭერი“, – განაცხადა ევროკავშირის ელჩმა.

კარლ ჰარცელმა გამოაცხადა კონკურსი ჟურნალისტიკაში ევროკავშირის 2020 წლის პრიზის მოსაპოვებლად.

ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში წელს 7 კატეგორიაში გაიცემა:

- **საუკეთესო სტატია ბეჭდურ ან ელექტრონულ მედიაში;**
- **საუკეთესო სიუჟეტი სამაუწყებლო ან ელექტრონულ მედიაში;**
- **საუკეთესო საგამოძიებო სტატია ან სიუჟეტი ბეჭდურ, ელექტრონულ ან სამაუწყებლო მედიაში;**
- **საუკეთესო ბლოგი/საავტორო სტატია/სვეტი ბეჭდურ, ელექტრონულ ან სამაუწყებლო მედიაში;**
- **ყველაზე ორიგინალური და ინოვაციური ნაშრომი ბეჭდურ, ელექტრონულ ან სამაუწყებლო მედიაში;**
- **ევროკავშირის ფასეულობების ამსახველი საუკეთესო დოკუმენტური ფოტო;**
- **კონფლიქტების მიმართ სენსიტიური საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომი, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში ნდობისა და მშვიდობის აღდგენას (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზი სამშვიდობო ჟურნალისტიკაში).**

ინფორმაცია საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის წესების შესახებ იხილეთ: https://www.euprizejournalism.ge/ge/rules. პირველ ექვს კატეგორიაში თითოეული გამარჯვებული მიიღებს ფულად ჯილდოს 1500 ევროს ოდენობით. სამშვიდობო ჟურნალისტიკაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზის მფლობელი გაივლის 30-დღიან სტაჟირებას „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ლონდონის ოფისში. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 15 დეკემბერი. განაცხადის ფორმა, ნამუშევრების წარდგენის წესები და ბოლო ვადები იხილეთ ვებ-გვერდზე www.euprizejournalism.ge

კელი დეგნანი: აშშ-ის მიერ პრესის თავისუფლების ხელშეწყობის ერთგულების გამო ძალიან ვამაყობ

„პრესის თავისუფლების მსოფლიო დღეს მე და ჩემი კოლეგები საელჩოდან მივესალმებით მედიის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც დასაბუთებული და დაბალანსებული ჟურნალისტიკისთვის თავდადებულნი არიან“, – ამ სიტყვებით პრესის თავისუფლების მსოფლიო დღეს აშშ-ის ელჩი ეხმაურება. კელი დეგნანის განცხადებას ამერიკის საელჩო ავრცელებს.

„როგორც ყოფილი ჟურნალისტი, აშშ-ის მიერ პრესის თავისუფლების ხელშეწყობის ერთგულების გამო ძალიან ვამაყობ. ეს ერთგულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში, როდესაც სწორი ინფორმაციის გავრცელებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. თავისუფალი და პასუხისმგებლიანი მედია საუკეთესო საშუალებაა დეზინფორმაციასა და ფაქტების დაფარვასთან საბრძოლველად. ჩემს პატივისცემას ვუდასტურებ საქართველოში მოღვაწე მედიასა და ჟურნალისტებს, რომლებიც გულმოდგინედ მუშაობენ საზოგადოებისთვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდებისთვის, რათა დაიცვან მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, – აღნიშნავს ელჩი კელი დეგნანი.

„ვებსკოლა“ – განათლების სამინისტროს ახალი პროექტი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აბიტურიენტებისთვის ახალ პროექტს „ვებსკოლას“ იწყებს, რომელიც მათ მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და ახალი ცოდნის შეძენის შესაძლებლობას მისცემს. ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

პროექტის ფარგლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლები აბიტურიენტებისთვის ჩაატარებენ ვებინარებს, რომლებიც პლატფორმა el.ge-ზე აიტვირთება. ვებინარების განრიგი ყოველკვირეულად განახლდება და ეტაპობრივად ყველა საგანს მოიცავს.

განათლების სამინისტროს ცნობით, ახალი პროექტი აბიტურიენტებისთვის 4 მაისიდან იწყება და 4 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. ვებინარებზე დარეგისტრირება ნებისმიერ მსურველს 2 მაისიდან შეეძლება.

რეგისტრაციის მარტივი ფორმა ვებგვერდზე el.ge, ვებინარების ბლოკში უკვე განთავსებულია. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ვებინარის აუდიოჩაწერი შეინახება და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

გარდა ამისა, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ღიად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, შეკითხვები, სურვილები და შენიშვნები, რაც განიხილება და გათვალისწინებული იქნება შემდგომი ვებინარების დაგეგმვისას.

უწყებაში აცხადებენ, რომ პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლებისა და „ტელესკოლის“ დანერგვის შემდეგ ახალი პროექტი აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზდებაში გაუწევს დახმარებას.

კორონავირუსის პრევენციის მიზნით პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამინისტროს დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდა დაევალა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები.

ჭრუანტელის მომგვრელი ისტორია

უკვე ოცდაათი წელიწადია, ვართ ერთი ცოტა უცნაური მოვლენის მოწმე და, ხშირად, უნებლიე მონაწილეც – აჟიოტაჟი ედუარდ შევარდნაძის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. როგორც წესი, „თეთრი მელას“ მოკრიტიკე და მაგინებელი ბევრია, ცივი გონებით განმსჯელი და ობიექტური შემფასებელი – ცოტა ან, საერთოდ – არავინ.

ფანტასტიკური ვარაუდებით აღჭურვილი ბატონი და ქალბატონი კომენტატორები მას უწოდებენ „მტერს, მოღალატეს, სამშობლოს გამყიდველს, ქვეყნის დამაქცევარს, უვიცს, უნიჭოს, ბერძნულ-ებრაული წარმოშობის ვიგინდარას...“ ყოვლისმცოდნე ქართველ ექსპერტშემფასებლებზე და რუს რასისტებზე ვლაპარაკობ, თორემ საერთაშორისო ასპარეზზე შევარდნაძე დღესაც ურყევი ავტორიტეტია.

კრიტიკისა და ლანძღვა-გინების ქარიშხლის ძირითადი სამიზნეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მიერ 70-იან წლებში ჩატარებული ე.წ. ანტიკორუფციული კამპანია; 1978 წელს ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება; 1983-1984 წლების „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე; 1965-1985 წლებში ქართული დისიდენტური მოძრაობის განადგურების მცდელობა; 1985-1991 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის მიერ მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის ნგრევისთვის ხელშეწყობა; სახალინისა და კამჩატკის იაპონია-აშშ-სთვის მიჩუქნების მცდელობა; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე საბჭოთა გავლენის შესუსტება; 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ინსპირაცია; 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში „ეროვნული ხელისუფლების“ დამხობა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვეყნიდან განდევნა; „აფხაზეთის ომში“ დამარცხება; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების „დამოუკიდებელ ქვეყნებად“ აღიარებისთვის ხელშეწყობა; 1991-1992 წლების საქართველოში უკონტროლო ბანდიტური შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნისთვის ხელშეწყობა და ხელისუფლების უზურპაცია; „წითელ ინტელიგენციასთან“ ერთად ქართული „ეროვნული ხელისუფლების“ წინააღმდეგ „ხუნტის“ მიერ მოწყობილი გადატრიალების ხელმძღვანელობა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა; 1992-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის დეგრადაცია; 1993 წელს საქართველოში გენერალ ბალტინის არმიის შემოყვანა და ქვეყნის „შეთრევა“ ავადსახსენებელ СНГ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – დსთ); 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბება და ხელისუფლებაში საკაშვილის გუნდის აღზევება...

არის სხვა ბრალდებებიც, მაგრამ, ვფიქრობ, შევარდნაძის „ჯოჯოხეთში განსაწესებლად“ უკვე ჩამოთვლილიც საკმარისზე მეტია.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით და ელემენტალური ლოგიკის მოშველიებით მეც, სხვა ავტორებმაც ვცადეთ, პასუხი გაგვეცა ზოგიერთ პრობლემაზე. თუმცა, პასუხგასაცემი ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ბევრია. გაუგებრობის ბურუსის გაფანტვა ვერც თავად ედუარდ შევარდნაძის მემუარულმა ლიტერატურამ შეძლო. ვშიშობ, ბევრ კითხვაზე ზუსტ პასუხს ოდესმე ვერც ისტორიკოსთა პატიოსანი და თავდადებული შრომა გასცემს.

მძიმეა, უმადური საქმეა, მაგრამ, მოდი, თითქმის ორმოცი წლის წინანდელი ერთი დღესაც ჟრუანტელის მომგვრელი ისტორია გავიხსენოთ. მისი პირობითი სახელწოდებაა „თვითმფრინავის ბიჭები“.

1989 წლის ზაფხულში გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს, ბატონ არჩილ გოგელიას მწუხარებისგან გაჭაღარავებული ულამაზესი ქალბატონი, ერთ-ერთი სიკვდილით დასჯილის უბედური დედა ეწვია და „თვითმფრინავის საქმის“ ჟურნალისტური გამოძიება თხოვა. ბატონმა არჩილმა იმ ქალბატონის თანდასწრებით ეს საქმე მე დამავალა.

მაშინდელი რესპუბლიკის პროკურორის, ბატონ ვახტანგ რაზმაძის სპეციალური ნებართვით პროკურატურის შენობაში ჩემთვის გამოყოფილ „საკანში“ ორი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვსწავლობდი რუსულ-ქართულად შედგენილ 22-ტომიან „თვითმფრინავის ბიჭების საქმეს“ №8309. შევხვდი იმ ტრაგიკული მოვლენების ბევრ მონაწილეს. საბოლოოდ, შევეცადე, რედაქტორისთვის დამესაბუთებინა, რომ საქმეში არსებული მასალები სიკვდილით დასჯილი ბიჭების საქციელის რამენაირად გამართლების საშუალებას არ იძლეოდა. ამ მწარე თავგადასავლის გამო დაღუპულების ხსოვნისა და მათი ოჯახებისთვის აჯობებდა, ყველაფერი ძველებურად ნისლის საბურველში გახვეული დარჩენილიყო.

1983 წლის 17 ნოემბერს თბილისში ერთი უმშვენიერესი წყვილის, მსახიობ გეგა კობახიძისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტ თინა ფეტვიაშვილის ქორწილი გაიმართა. სხვა სტუმრებთან ერთად მას ესწრებოდნენ სიძეპატარძლის მეგობრები – ხელოვნების აკადემიის სტუდენტი დავით მიქაბერიძე, მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი ძმები კახა და პაატა ივერიელები, მხატვარი გია ტაბიძე, აგრეთვე ეკა შალუტაშვილი და ანანო მელივა. იყო ერთი ახლადშეძენილი მეგობარიც - თბილისის აეროპორტის საერთაშორისო სექტორის თანამშრომელი ანა ვარსიმაშვილი.

მეორე დღეს, 18 ნოემბერს ლენინგრადში საქორწინო მოგზაურობაში მიმავალი ახლადშეუღლებულები და მათი თანმხლები მეგობრები უკვე თბილისის აეროპორტში იყვნენ. ანა ვარსიმაშვილმა დავით მიქაბერიძე, სოსო წერეთელი, ეკა შალუტაშვილი და ანანო მელივა საფრენ ბილიკზე სამსახურებივი გასასვლელით, სპეციალური კონტროლის გაუვლელად გაიყვანა. როგორც მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, ცეცხლსასროლი იარაღი (ტტ-ს ტიპის ორი პისტოლეტი, ნაგანისა და რევსტერის მარკის რევოლვერები და ორი სასწავლო ხელყუმბარა) თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადის რეისის ტუ-134A მარკის თვითმფრინავში, რომელშიც 57 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა, სწორედ დავით მიქაბერიძემ და სოსო წერეთელმა შეიტანეს. ანა ვარსიმაშვილმა, ეკა შალუტაშვილმა, ანანო მელივამ არც ამის და არც თვითმფრინავის გატაცების გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ტრაგიკული მოვლენები თვითმფრინავის აფრენიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ განვითარდა, როცა შეიარაღებული ბიჭები მფრინავების კაბინაში შეიჭრნენ, სროლა ატეხეს, პილოტისგან თვითმფრინავის თურქეთში გადაყვანა, ხოლო მგზავრებისგან – სიმშვიდე და მორჩილება მოითხოვეს. – თვითმფრინავის ბათუმიდან უკან, თბილისის აეროპორტში დაბრუნებას, გამტაცებლებთან მოლაპარაკებას, შემდეგ მისი იერიშით აღებას და „ტერორისტების“ დაპატიმრებას ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. ოპერაცია „ნაბატის“ უშუალო შემსრულებელი გახლდათ რუსეთიდან გამოძახებული სუკ-ის სპეციალური დანიშნულების რაზმი „ალფა“ გენერალ გენადი ზაიცევის მეთაურობით. გამტაცებლებთან უშუალო მომლაპარაკებლის ამპლუა დაეკისრა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უფროსს ქაძანაიას.

კიდევ ერთხელ „თეთრ მელაზე“ და „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიაზე

საბოლოო შედეგები კარგად ცნობილია და მისი დეტალების შეხსენებით თავს არ შეგაწყენთ: მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო; გენერალ ზაიცევის „ალფას“ რაზმელებმა თვითმფრინავი ოთხ წუთში აიღეს; ეჭვმიტანილები აიყვანეს და საპატიმროში გაგზავნეს. საბჭოთა მართლმსაჯულებამ კიდევ ერთი „დიადი გამარჯვება“ იზეიმა.

ოპერაციის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას დაიღუპა რვა ადამიანი, დაიჭრა - 11. სასამართლომ (მოსამართლე თეიმურაზ გერსამია, სახელმწიფო ბრალმდებელი ვლადიმერ იოსელიანი) კიდევ ოთხ გამტაცებელს სიკვდილით დასჯის, ხოლო ერთს 14-წლიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა. აღსანიშნავია, რომ იმ ოთხი სიკვდილმისჯილიდან ერთი, მამა თეოდორე (თეიმურაზ ჩიხლაძე) მართალია, „თვითმფრინავის ბიჭებთან“ მეგობრობდა, მაგრამ თვითმფრინავის გატაცებაში მონაწილეობა არ მიუღია, ის ინციდენტიდან ორთვენახევრის შემდეგ, 1983 წლის 2 თებერვალს დააპატიმრეს. ამის თაობაზე „საქმეში“ მე ვერაფერს მივაკვლიე და, გირჩევთ, თქვენც ნუ იმარჩიელებთ, რა გზებით უნდა აღმოეჩინა სუკ-ს სასულიერო პირის კვალი „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეში.

სასჯელი მართლაც უსასტიკესი იყო, მაგრამ დასკვნების გამოტანამდე, ალბათ მაშინდელი საბჭოთა სინამდვილის გათვალისწინება გვმართებს.

განსასჯელებს ბრალი წაუყენეს საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით: ბანდიტური ორგანიზაციის შექმნა და მისი წევრობა; სამშობლოს ღალატი; თვითმფრინავის გატაცების მცდელობა; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. ოთხივე ეს მუხლი (ისევე, როგორც მაშინ მოქმედი საქართველოს სსკ-ის კიდევ 24 მუხლი) გულისხმობდა 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან სასჯელის უმაღლეს ზომას. ვინაიდან დანაშაული ჩადენილი იყო განსაკუთრებული სისასტიკით (მას ხუთი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა), სასჯელიც, შესაბამისად იყო განსაკუთრებით სასტიკი.

ვწუხვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება ნორვეგიის მაგალითი, რომელსაც ხშირად იშველიებენ: სასამართლომ მანიაკ ტერორისტ ანდერს ბრეივიკს 77 ადამიანის განზრახ მკვლელობისთვის 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა! – 2011 წელს, როცა ბრეივიკი გაასამართლეს, ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა; არც საპატიმრო ადგილებში ადამიანების წამებითა და აუტანელი საცხოვრებელი პირობების შექმნით მათ იმქვეყნად გასტუმრებას (როგორც ეს ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის საქართველოში). იქნებ იმის გახსენებაც ღირდეს, რომ 77 კაცის, მათ შორის ერთი ქართველი გოგონას, მკვლელი ბრეივიკი ამტკიცებდა, რომ მისი დანაშაულის მოტივი იყო პოლიტიკური – ნორვეგიის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება მუსლიმი ემიგრანტებისადმი.

საქართველოს სსკ-ის ზემოთ მოხსენიებული ოთხი მუხლიდან პირველი ორი – ბანდიტური ორგანიზაციის შექმნა და სამშობლოს ღალატი – მიუსადაგეს მღვდელი თეოდორეს დანაშაულსაც.

არ ვამტკიცებ, რომ სასამართლოს არ შეეძლო მამა თეოდორესთვის უფრო ლოიალური განაჩენის გამოტანა, მაგრამ მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩადენილი დანაშაულის სისასტიკე და, რაც მთავარია ის, რომ ყველაფერი ეს ხდება 1983-1984 წლებში, იური ანდროპოვისა და კონსტანტინ ჩერნენკოს ზეობისას, გაგანია საბჭოთა ეპოქაში.

რაც მთავარია, შეეძლო თუ არა საქართველოს მაშინდელ პირველ კაცს ედუარდ შევარდნაძეს, სიცოცხლის შენარჩუნება განსასჯელებისათვის, თუნდაც ქართველი ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილის თხოვნით.

იმ ეპოქაში შეწყალების პრეროგატივა ეკუთვნოდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მის თავმჯდომარე პავლე გილაშვილს. თუმცა, იგი ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას შევარდნაძის მითითების გარეშე. თავის მხრივ, „თვითმფრინავის ბიჭების“ შეწყალების თაობაზე შევარდნაძე ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას კრემლთან შეუთანხმებლად. კრემლი კი ასეთ გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა!

ბიჭების დახვრეტისას, 1984 წელს, უკვე დაწყებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეუქცევადი რღვევისა და დისიდენტური მოძრაობის აღზევების პროცესი. თუ თავს არ გავიბრიყვებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ეპოქის კრემლში არ ისხდნენ გულუბრყვილო, მიმტევებელი, ან სულელი ადამიანები – იმ ეპოქის კრემლს (მსოფლიო სოციალისტურ „თანამეგობრობას“) მართავდნენ უკომპრომისო, დაუნდობელი, სასტიკი ადამიანები, რომლებიც ყველა ხერხით ცდილობდნენ თავისა და სისტემის გადარჩენას. საქართველოში მომხდარი და იმთავითვე პოლიტიკურ საბურველში გახვეული სასტიკი დანაშაული კრემლში სოციალიზმისთვის საშიშ მოვლენად აღიქმებოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამან ათქმევინა შევარდნაძეს აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძისთვის ერთი ფრიად საყურადღებო ფრაზა, **„თქვენ (ინტელიგენციას) რომ ძალალდები არ გეფრიალებინათ, იძნებ იმ ბიჭების გადარჩენა მოგვეხერხებინაო“.**

> ნუ იფიქრებთ, თითქოს მაშინდელი ინტელიგენციის თავგამოდებას არ ვაფასებდე ან მის გულწრფელობაში ეჭვი მეპარებოდეს, მაგრამ ასეთია რეალობა და იგი არის ტრაგიკული.
>
> შევარდნაძის დადანაშაულება „თვითმფრინავის ბიჭების“ სიკვდილით დასჯაში, ბავშვური გულუბრყვილობის გარდა, არის ყურადღების მთავარიდან მეორეხარისხოვანზე გადატანისა და საკუთარი არარსებული სიმამაცის დემონსტრაცია, ღაჩრის გამგებლობა – შემომხედეთ, რა მამაცი ვარ, როცა არაფერი მემუქრება!

კიდევ ერთ უცნაურ მოვლენაზე ვიტყვი და ამით დავამთავრებ.

„თვითმფრინავის ბიჭების“ დახვრეტის ამბავს საქართველოს ხელისუფლება თითქმის სამ წელიწადნახევრის განმავლობაში... მალავდა. მშობლები 42 თვის განმავლობაში დადიან ციხეში, შვილებისთვის გადასაცემად მიაქვთ „პერედაჩები“, მათი შეწყალებისა და მათთან შეხვედრის იმედით სულდგმულობენ. მათი შვილები კი რა ხანია, ცოცხლები აღარ არიან, მათი საფლავებიც არავინ იცის...

ათი წლის წინათ ამ პრობლემის გარკვევა ვცადე. 80-იანი წლების ციხის უფროსს ვერ მივაგენი, თუმცა საქართველოს იმდროინდელი (1988-1989 წ.წ.) სუკ-ის ერთ მაღალჩინოსანს ჯუმბერ პატიაშვილს და თვით ედუარდ შევარდნაძესაც ვესაუბრე...

ეტყობა, ამქვეყნად მართლაც ბევრი რამ ხდება ისეთი, რასაც ნათელი არასოდეს მოეფინება.

თეიმურაზ ჟორჟიკ.
26. 04. 2020 წელი



იაგორ ჭელიძე – ცემენტის გამოგონებელი ქართველი, რომლის წინაშე მთელი მსოფლიო ვალშია...



მოგეხსენებათ, ხიდების, სხვადასხვა შენობა-ნაგებობების, მათ შორის ცათამბჯენების აშენებისთვის უმთავრესი მასალა ცემენტია. ეს არის ჰიდრავლიკური მჭიდი ნივთიერება, რომელსაც იღებენ დაწვრილმანებული კლინკერისა და თაბაშირის ნარევისაგან. ზოგჯერ უმატებენ აქტიურ მინერალურ ნივთიერებებს. ამ ცემენტს მეორეხარისხოვან პორტლანდცემენტსაც უწოდებენ. მისი უმნიშვნელოვანესი თვისებებია: სიმტკიცის გაზრდა გამყარებისას, წყალმედეგობა არააგრესიულ გარემოში, ყინვამედეგობა. პორტლანდცემენტის გამომგონებლებად ოფიციალურად ორი პიროვნება ითვლება: ინგლისელი ჯოზეფ ასპდინი და ეგორ ჩელიევი. საინტერესოა, რომ 1948 წლამდე მხოლოდ ასპდინს აღიარებდნენ, რომელმაც პატენტი 1824 წელს აიღო. 1948 წელს კი აღმოჩნდა, რომ ჩელიევს 1822 წელს ჰქონდა დაწერილი ნაშრომი ცემენტზე, რომელიც წიგნად 1825 წელს გამოიცა.

ჩელიევზე და ასპდინზე ამბობენ, რომ მათ წინაშე მთელი მსოფლიო ვალშია, რადგან, სწორედ ამ ორი ადამიანის გამოგონებამ გახადა შესაძლებელი მსოფლიოში ცათამბჯენების მშენებლობა.

ცოტა მოგვიანებით კი, ცნობილი გახდა, რომ ეგორ ჩელიევი სინამდვილეში იაგორ ჭელიძეა. მისი ბაბუა - დავით ჭელიძე 1724 წელს, ვახტანგ მეექვსეს გაჰყოლია რუსეთში, სადაც იმპერატორმა პეტრე პირველმა მას თავადობა და მიწა უბოძა. იაგორის მამა – გერასიმე ქართველ ჰუსართა პოლკში მსახურობდა და სეკუნდ-მაიორი ყოფილა, დედა რუსი ჰყავდა.

თავად იაგორი 1771 წლის 19 მაისს ნოვოროსიისკის გუბერნიაში დაიბადა. უკვე 16 წლის ასაკიდან მუშაობდა სამაზრო მიწის მზომელად. შემდეგ სამხედრო სამსახური გაიარა, 1800 წლიდან უკვე მოსკოვში მუშაობდა მიწისმზომელად.

1812 წელს ფრანგებთან ომის შედეგად გადამწვარი მოსკოვის აღსადგენად, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოითხოვა ქალაქის ახალი პროექტების შედგენა. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც მეთაურობდა თავადი ციციანოვი (ციციშვილი). ამ კომისიაში შედიოდა საპროექტო განყოფილება, რომლის დირექტორიც იაგორ ჭელიძე (ამიერიდან ასე მოვიხსენიებთ ეგორ ჩელიევს) იყო.

იაგორისა და თავად ციციანოვის ხელმძღვანელობით, შედგა მოსკოვის გენერალური გეგმა. მასში შედიოდა 486 მნიშვნელოვანი შენობა, 6 ტაძარი, 21 მონასტერი, 261 ეკლესია, 129 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა და ასე შემდეგ. მოსკოვის გენერალური გეგმის ესკიზი იაგორმა თავისი ხარჯით დასტამბა და ოთხჯერ გამოსცა (1817, 1818, 1819 და 1824 წლებში).

აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო ხელმოწერითაა დამტკიცებული მოსკოვის მრავალი შენობის, არხის, ხიდის აღდგენა– რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პროექტები. იგი უძღვებოდა ყველა გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოს.

1818 წელს იაგორ ჭელიძეს დაავალეს შეედგინა ახალი წყალსარიდებელი არხის პროექტი, რათა გაზაფხულის წყალდიდობის დროს, მოსკოვის სანაპიროები არ დატბორილიყო. დაპროექტების გარდა, ის მონაწილეობდა მოსკოვის სანაპიროების, აუზების, შადრევნების, არხების, ნაგებობების მშენებლობაში. ხელმძღვანელობდა საგზაო სამუშაოებსაც. 1824 წელს მან უპატაკა ხელისუფლებას, რომ „მტრისაგან ფერფლად ქცეული დედაქალაქი აღდგენილია“.

სწორედ ამ სამუშაოების დროს იაგორ ჭელიძემ შექმნა მტკიცე სილიკატური ცემენტი, რომელიც იქცა თანამედროვე ცემენტის საწყისად. ეს ცემენტი გამოიყენა მან ძველი შენობების აღდგენისა და ახლების აგებისას. თავისი გამოგონება დაწვრილებით აღწერა წიგნში, რომელიც 1825 წელს გამოიცა. წიგნის სახელწოდებაა: „სრული აღწერილობა, თუ როგორ უნდა მომზადდეს იაფი და საუკეთესო ცემენტი, ფრიად მტკიცე, ისეთი წყალქვეშა ნაგებობებისათვის, როგორიცაა: არხები, ხიდები, აუზები და კაშხლები; მიწისქვეშა სარდაფებისათვის, ხისა და ქვის ნაგებობათა შესაბათქაშებლად“. ნაშრომში დაწვრილებით აღწერა ცემენტის მიღების ხერხი კირის (ან ცარცის) და თიხის ნაერთის გამოწვითა და მიღებული პროდუქტის დაქუცმაცების მეშვეობით. ავტორი შენიშნავდა, რომ წიგნი დაწერილი იყო რეალურად აგებული შენობების პრაქტიკის საფუძველზე. ეს ნათლად ცხადჰყოფს, რომ ჭელიძემ ასპდინზე ადრე გამოიყენა მაღალი ხარისხის ცემენტი, რომელიც დღემდე იმავე მეთოდით მზადდება. მოსკოვის აღდგენისთვის იაგორმა უამრავი ჯილდო მიიღო, მაგრამ 1828 წელს, რუსების მიერ მოწყობილი ავანტიურის შედეგად, სრულიად უსამართლოდ დაითხოვეს სამსახურიდან. ამ ფაქტმა დიდად იმოქმედა გამომგონებელზე – ის ყველასაგან მივიწყებული, 1829 წლის 3 სექტემბერს, 58 წლის ასაკში, მოსკოვში გარდაიცვალა.

დღეს ეგორ ჩელიევის (იაგორ ჭელიძის) ღვაწლი სათანადოდაა დაფასებული. 1971 წელს, იუნესკოს ეგიდით, თბილისში ჩატარდა მისი დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ცემენტის ქიმიის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები.

1976 წელს სანკტ-პეტერბურგში, ნევის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ეგორ ჩელიევის სახელი (ვინაიდან საბუთებში ეს სახელი და გვარი ჰქონდა მითითებული).

„რეპორტიორი“

1947-1974 წლებში შორეულ ჩილეში მოღვაწეობდა ქართველი მილიონერი, საზოგადო მოღვაწე, ჩილეში სპილენძისა და გვარჯილის საბადოების მაგნატი ავთანდილ მერაბაშვილი.

ვინ იყო ქართველი მილიონერი ჩილეში

საიდან მოხვდა ქართველი სამხრეთ ამერიკაში? ავთანდილ მერაბაშვილი 1902 წელს დაიბადა. ის თბილისში, დრამატულ სტუდიაში სწავლობდა. 1924 წელს, ცნობილი აჯანყების შემდეგ, როცა ბოლშევიკებმა მამა და ნათესავები დაუხვრიტეს, მერაბაშვილი ემიგრაციაში გაიქცა, ჯერ გერმანიაში და იქიდან – საფრანგეთში. იმ პერიოდში ქართული ემიგრაცია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობდა და ყველას აცნობდა ინფორმაციებს საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეპრესიებისა და 1924 წლის აჯანყების სასტიკად ჩახშობის შესახებ. საბჭოთა მთავრობამ აგენტები გააგზავნა საფრანგეთში და არწმუნებდა ემიგრანტებს, – სამშობლოში დაბრუნდით, ხელს არ გახლებთ და ყველანაირ დახმარებას აღმოგიჩენთო. აგენტებმა ემიგრანტთა ნაწილის მოსყიდვა მაინც მოახერხეს, მათ შორის იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი. ის საკუთარი გაზეთის „ახალი საქართველოს“ ფურცლებიდან არწმუნებდა ემიგრანტებს, საქართველოში დაბრუნებისაკენ. ვეშაპელის მომხრეებმა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა სიების შედგენაც კი დაიწყეს. ღალატის შესახებ მალე შეიტყვეს „თეთრი გიორგის“ წევრებმა, მათ შორის, გიორგი მერაბაშვილმა, რომელმაც ვეშაპელი ყველას თვალწინ იარაღიდან გასროლით მოკლა. ამის შედეგად, ის ფრანგული სასამართლოს წინაშე წარსდგა. იტალიელმა ადვოკატმა მირო ჯიაფერმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პიერ რენოდელმა და ედუარდ მარკემ ყველაფერი გააკეთეს, რომ მერაბაშვილს სიკვდილით დასჯა ასცდენოდა.

გადამწვეტი აღმოჩნდა რუსი ემიგრანტის, პოეტის და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტის სიტყვა: შოთა რუსთაველის პოემაც მითარგმნია, საქართველოშიც ვყოფილვარ და ქართველების ხასიათიც ვიცი... მერწმუნეთ, ქართველებისთვის ყველაზე მძიმე დანაშაული ქვეყნის, რწმენის და მეგობრის ღალატიაო.

საფრანგეთის სასამართლომ მერაბაშვილი გაათავისუფლა და ქვეყნიდან გააძევა.

ქართველი ბელგიაში გადავიდა სახოვრებლად მდიდარ ქალზე იქორწინა. ის ბერლინის ბირჟაზე ვაჭრობდა ფასიანი ქაღალდებით, საკმაო ქონება დააგროვა და როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ ნაცისტებთან კავშირში ბრალი დასდო და ბელგიის მხარეს მისი გადაცემა მოსთხოვა, მერაბაშვილი არგენტინაში გაიქცა, შემდეგ ბოლივიაც მოიარა და საბოლოოდ დასახლდა ჩილეში, სადაც სპილენძისა და გვარჯილის საბადოებიც იყიდა, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მიწებიც შეიძინა, რესტორნების ქსელიც მოაწყო და საკურორტო ქალაქიც გააშენა სანტიაგოსთან.

აღსანიშნავია, რომ ახალი ქალაქის ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას სახელები დაარქვა, ხოლო ცენტრალურ გამზირს შოთა რუსთაველის სახელი უწოდა. საინტერესოა, რომ 1968 წელს სურდა, ეს ქალაქი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ეჩუქებინა, თუმცა, ვერ მოახერხა და ამაში დამნაშავე კომუნისტები იყვნენ.

ავთანდილ მერაბაშვილს ქართველებთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. ჯერ კიდევ 1954 წელს, ჩილეში თავისი შვილისთვის მასწავლებლად მიიწვია ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც დიდი დახმარება გაუწია – დაუფინანსა ოთხი წიგნის გამოცემა და ოპერაციაც კი.

1966 წელს კი ცნობილ მთარგმნელ გუსტავო დე ლა ტორეს იმავე ნოზაძის დახმარებით, „ვეფხისტყაოსანი“ ათარგმნინა. გარდა ამისა, ჩილელ მწერალთა ასოციაციის საიუბილეო საღამოსთვის, ერთ-ერთ მხატვარს შოთა რუსთაველის პორტრეტი დაახატვინა.

ავთანდილ მერაბაშვილი გულუხვად უმასპინძლდებოდა სტუმრად ჩასულ ქართველების დელეგაციებს, რომელთა შორის ვახტანგ ჭაბუკიანის დასი და სუხიშვილების ანსამბლიც იყვნენ.

1974 წელს, მან გაურკვეველ ვითარებაში მოიკლა თავი, თუმცა, ამბობენ, რომ ეს საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოიმოქმედეს. მერაბაშვილის მიერ დატოვებული სიმდიდრის ბედი უცნობია...

თენგიზ ჩოგანიძე

არც ერთი პანდემია ერთმანეთს არ ჰგავს, მაგრამ თითოეული მათგანი ნამდვილად კარგი გაკვეთილია შემდეგისთვის. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ყოფილი პრეზიდენტი, ბიოლოგიის პროფესორი დევიდ ბალტიმორი არის ვირუსოლოგი, რომელიც აივ ინფექციას სწავლობდა შიდსის პანდემიის ყველაზე მწვავე ეტაპზე, 1980-1990-იან წლებში.

1975 წელს ბალტიმორმა ნობელის პრემია მიიღო მედიცინის დარგში იმ ფერმენტის აღმოჩენისთვის, რომელსაც აივ-ისა და მისი მსგავსი ვირუსები იყენებენ თავიანთი რნმ-ისა და დნმ-ის კოპირებისთვის. ამ ე. წ. რეტროვირუსებს სამუდამოდ შეჰყავთ საკუთარი დნმ-ის ასლი მასპინძელი უჯრედის გენებში, რაც ინფექციისგან სრულად გათავისუფლებას შეუძლებელს ხდის. დაავადება COVID-19-ის გამომწვევი ახალი კორონავირუსი, მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი 2, იგივე SARS-CoV-2 საბედნიეროდ რეტროვირუსი არ არის, მაგრამ მაინც გამოიწვია ყველაზე დესტრუქციული გლობალური პანდემია შიდსის პანდემიის პიკის შემდეგ.

ახალი კორონავირუსის პანდემიის „პერსპექტივებისა“ და მომავლის სხვა შესაძლო პანდემიების შესახებ, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი სწორედ პროფესორ დევიდ ბალტიმორს ესაუბრა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.



ინტერვიუ ლეგენდარულ ვირუსოლოგთან, ნობელის პრემიის ლაურეატ დევიდ ბალტიმორთან

რომ ჯერ ბოთლიდან ამოვა, უკვე ძალიან გვიანია!..

– პირველი რიგში, შეგიძლიათ გაგვაცნოთ შიდსის ეპიდემიის ქრონოლოგია?

– შიდსის ეპიდემია ლოს-ანჯელესში დაიწყო რამდენიმე პაციენტზე დაკვირვებით, რომლებმაც ექიმს უცნაური სიმპტომებით მიმართეს; ყველა სიმპტომი იმუნური სისტემის კრახზე მიუთითებდა. ეს გახლდათ სინდრომი, რომელიც მანამდე არასოდეს გვქონდა ნანახი. კანის განსაკუთრებული დაავადებები, პირის ღრუს დაავადებები, კიდევ სხვა დაავადებები, ყველაფერი ერთად, არაფერს აზრი აღარ ჰქონდა.

ექიმებმა ამ შემთხვევების შესახებ ატლანტაში აცნობეს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს, რომელმაც ეს შემთხვევები უცნაურობას მიაწერა, მაგრამ სხვა ექიმები სხვადასხვა ადგილებში მიხვდნენ, რომ პაციენტებში ასეთ პრობლემებს ისინიც ხედავდნენ. ის უცნობი წარმომავლობის სინდრომი გახდა, დიდი ხანი დასჭირდა იმის დადგენას, რომ სინამდვილეში საქმე ვირუსთან გვქონდა, რომელსაც შემდეგ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ – AIV) ეწოდა.

რადგანაც ეს ვირუსი იყო, ცხადი გახდა, რომ ის ინფექციური დაავადების სახით გავრცელდებოდა ადამიანიდან ადამიანში. ეს კი წარმოუდგენლად დაგვეხმარა ამ პრობლემის მასშტაბის შეფასებაში, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს აგენტი მანამდე არასოდეს გვქონდა ნანახი. აღმოჩნდა, რომ ის მიეკუთვნებოდა ვირუსების იმ კლასს, სახელად რეტროვირუსებს, რომლებთანაც მე ათწლიანი მუშაობის გამოცდილება მქონდა. აღმოვაჩინე, რომ რეტროვირუსებს ჰქონდათ უნიკალური ფერმენტი, რომლითაც საკუთარ რნმ-ს დნმ-ის ასლად გადააქცევდნენ. ამისთვის, 1975 წელს მე ნობელის პრემია მომცეს. 1980-იანი წლების დასაწყისისთვის ვირუსების ეს კლასი უკვე კარგად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ არავის არასოდეს ენახა, რომ ის ამ სახის დაავადებას იწვევდა.

თანდათანობით, აივ ვირუსის კვალმა მიგვიყვანა აფრიკის მაიმუნების ენდემურ ვირუსთან, რომელიც შიმპანზეებში გაჩნდა, შემდეგ ადამიანებში გადავიდა, თუმცა, ადამიანებს შორის ცუდად, მაგრამ მაინც ეფექტიანად ვრცელდებოდა.ცუდად იმ გაგებით, რომ ის ძალიან ინფექციური ვირუსი არ არის. ეს ყველაფერი ნათელი გახდა 1980-90-იან წლებში.

ამასობაში, აივ ვირუსი, რა თქმა უნდა, მთელ მსოფლიოში გავრცელდა. არის საკმაოდ ლეტალური, იწვევს დაავადების პანდემიას და სიკვდილს. საბედნიეროდ, ადამიანებმა ამ ვირუსის ინჰიბიტორები შევისწავლეთ და გამოჩნდა პრეპარატებიც, რომლებიც დაავადებას დაუყოვნებლივ აჩერებს. განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა ერთ-ერთი მათგანი, სახელად AZT, მაგრამ ამ პრეპარატის არსებობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა, რადგან ვირუსმა მის წინააღმდეგ მუტაცია განიცადა. თუმცა, მან გადმოგვცა გასაღები, რომ ეს სწორედ ის მიმართულება იყო, რომლითაც პრეპარატების შექმნაზე უნდა გვემუშავა. სხვადასხვა ფარმაცევტულმა კომპანიამ დაამზადა ამ კლასის ბევრი პრეპარატი, საბოლოოდ კი მივიღეთ საკმაოდ კარგი ანტივირუსული საშუალებები.

ვირუსის ბუნების კვლევისას, სამეცნიერო საზოგადოებამ იპოვა მისი სუსტი წერტილები, რომლებიც მთავარი სამიზნე გახდა პრეპარატების შექმნისას. საბოლოოდ კი მივიღეთ ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატების ფართო სპექტრი. დღეისთვის, შიდსი კვლავ ინარჩუნებს ქრონიკული დაავადების სტატუსს, მაგრამ მისი ლეტალურობა დიდწილად კონტროლირებადია, სულ მცირე განვითარებულ მსოფლიოში, სადაც მისი პრეპარატები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება.

ახლა ჩვენ შიდსის ვირუსთან, აივ-თან ერთად ვცხოვრობთ, რომელიც ყველგან არის მსოფლიოში.

– გამოდის, რომ შიდსის პანდემია საბოლოოდ პრეპარატებმა შეანელა და არა აივ-ის ვაქცინამ. რატომ არ გვაქვს ეს ვაქცინა დღემდე?

– ეს ძალიან საინტერესო ამბავია, რადგან ვირუსების უმეტესობის პირველად გამოჩენისთანავე, ვიცით, რომ მის საწინააღმდეგო ვაქცინას შევქმნით. ისტორიულად, ვაქცინა შევქმენით ძალიან ფართო დიაპაზონის ვირუსების წინააღმდეგ – ყვავილი და პოლიო, წითელა, ყბაყურა, წითურა და ა.შ. გამომდინარე აქედან, ვაქცინის შექმნას შიდსის წინააღმდეგაც ვვარაუდობდით.

1980-იან წლებში ამ ამბავში მეც ვიყავი ჩართული და ასე ვფიქრობდი; როდესაც ჩვენ ვირუსი შევისწავლეთ, ვნახეთ, რომ მას ჰქონდა მახასიათებელი, რომელიც მიუთითებდა, რომ ვაქცინის შექმნა შესაძლოა, შეუძლებელი ყოფილიყო. ეს მახასიათებელი კი ის გახლავთ, რომ ვირუსს შეუძლია თავისუფლად მუტაცია და ასეც იქცევა. შესაბამისად, ის გამუდმებით წარმოდგენილია სხვადასხვა იმუნური პროფილით. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე მთელი მსოფლიოს ფარმაცევტულმა კომპანიებმა და უნივერსიტეტების მეცნიერებმა იმუშავეს, ვაქცინა მაინც არ გვაქვს. ნამდვილად არასოდეს გვქონია საქმე ასეთ დაუმორჩილებელ და ლეტალურ ვირუსთან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩემი კოლეგა ვაქცინის შექმნაზე მაინც მუშაობს.

– სწორედ ასეთი წარსულის ფონზე გამოჩნდა COVID-19. რა განსხვავებებია ამ ორ პანდემიას შორის? მაგალითად, თქვენ ახსენეთ, რომ აივ ვირუსი სუსტად გადამდებია, COVID-19 კი ძალიან ძლიერ გადამდები ჩანს.

– დიახ, ერთ-ერთი მთავარი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ COVID-19-ის გამომწვევი კორონავირუსი SARS-CoV-2 ძლიერ ინფექციურია, შიდსის გამომწვევი აივ ვირუსი კი – სუსტად ინფექციური.

ამ ორ ვირუსს შორის არის სხვა მრავალი განსხვავებაც. პირველ რიგში, ისინი ვირუსთა ძალიან განსხვავებული ოჯახების წარმომადგენლები არიან. SARS-CoV – კორონავირუსია, აივ-ს კი ჩვენ რეტროვირუსს ან ლენტივირუსს ვუწოდებთ. მათ სრულიად განსხვავებული ევოლუციური ისტორია აქვთ და ძლიერ განსხვავებულია მათი მექანიზმებიც. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ვირუსია და იმდენად პატარა აგენტები არიან, რომ მხოლოდ უჯრედში შეღწევის შემდეგ იზრდებიან, ისინი ძალიან სხვადასხვანაირად იქცევიან.

თუმცა, ისინი ერთმანეთს ჰგვანან იმ თვალსაზრისით, რომ ორივე მათგანი ცხოველებიდან მოდიან. აივ-ის შემთხვევაში ეს მაიმუნები იყვნენ, SARS-CoV-2-ის შემთხვევაში კი ვფიქრობთ, რომ ღამურები. ორივე მათგანი ადამიანებისთვის ახალია. ამჟამად არ გაგვაჩნია კორონავირუსების საწინააღმდეგო არანაირი პრეპარატი, რადგან კორონავირუსები აქამდე დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. ისინი პატარა კეროვანი პრობლემა იყო იმ ვირუსების შემთხვევაში, რომლებმაც გამოიწვიეს დაავადება SARS-ი და MERS-ი; ორივე მათგანი კორონავირუსებია, მაგრამ მათი გავრცელების შეკავება შედარებით სწრაფად მოხერხდა.

– როგორ ვმართავთ ამჟამინდელ პანდემიას? ფოკუსი პრეპარატების შექმნაზეა თუ ვაქცინაზე?

– ამ მომენტისთვის, ვირუსის წინააღმდეგ ჩვენ უბრალოდ არაფერი გვაქვს. ვიმედოვნებთ მხოლოდ იმას, რომ სხვა მიზნებისთვის ჩვენ მიერ უკვე შექმნილი პრეპარატები შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს კორონავირუსების წინააღმდეგ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს ვაქცინა. ნულიდან ვიწყებთ. თუმცა, ამ მიმართულებით ჩატარებულია არაერთი სამუშაო. გვყავს კომპანიები, რომლებსაც დამზადებული აქვთ ვაქცინები მრავალი ვირუსის წინააღმდეგ, ასევე კომპანიები, რომლებმაც შექმნეს აივ-ის საწინააღმდეგო პრეპარატები.

სამეცნიერო საზოგადოება იმედოვნებს, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა შედარებით პირდაპირი, გამიზნული იქნება, თუმცა, არ გვაქვს გამოცდილება. ჩვენ არასოდეს შეგვიქმნია სხვა რომელიმე კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, რადგან ამის საჭიროება არ ყოფილა. არც იმის გამოცდილება გვაქვს, რომ ვიცოდეთ, ამ კლასის ვირუსების იმუნოლოგიური მართვა ადვილი იქნება თუ ძნელი. იმედიანად ვარ განწყობილი, მაგრამ ვირუსი იმდენად წარმოუდგენლად ეფექტიანად ვრცელდება, რომ ბევრი დრო არ გვაქვს, თუ გავრცელებაზე გავლენის მოხდენა გვსურს.

შესაბამისად, ავირჩიეთ ის ერთადერთი გზა, რომელიც ვიცით, რომ ვირუსის გავრცელებას შეანელებს და ხალხს დაინფიცირებისგან დაიცავს. სხვა ვირუსთა მსგავსად, ეს ვირუსიც არსებობს მხოლოდ ადამიანიდან ადამიანზე გადადების გზით. ასეთი გავრცელება მოითხოვს ადამიანებს შორის ახლო კონტაქტს და სწორედ ამიტომ ვთხოვთ ხალხს ერთმანეთს არ მიუახლოვდნენ ორ მეტრზე ახლოს, ატარონ ნიღბები, დარჩნენ სახლში.

პრეპარატებისა და ვაქცინის არარსებობის პირობებში, გადადების შესაჩერებლად მსოფლიო იღებს იმ მასშტაბის ზომებს, რომელიც არასოდეს მიუღია. სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დავთანხმდეთ საზოგადოების რღვევას, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური საქმიანობის ნგრევას, ყველა ჩვეული ქცევის უარყოფას.

– ცნობილია, რომ ჩვეულებრივ გაციებასაც ხშირად ერთ-ერთი კორონავირუსი იწვევს; რატომ მას არ მივიჩნევთ პანდემიად?

– ჩვეულებრივი გაციებაც პანდემიაა, თუმცა, ის სასიკვდილო არ არის. ჩვეულებრივ გაციებას ასობით სხვადასხვა სახის ვირუსი იწვევს, ზოგიერთი მათგანი კორონავირუსია, მაგრამ, როგორც წესი, მასზე სულ არ ვდარდობთ, რადგან მალე თავისით გადის. ისინი იწვევს მსუბუქ გაციებას, უფრო ხშირად კი ბავშვებში, შემდეგ კი თავისით მიდის.

სულაც არ არის კარგი, რომ ჩვენ ჩვეულებრივი გაციების ვირუსებს უარვყოფთ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებები ჩვეულებრივ გაციებას ხანდახან სწავლობენ, სულ მცირე, მისი ბუნებრივი წარმოშობის ისტორიას და მის გადანაწილებას, რამდენად ინფექციურია ის და ა. შ. თუმცა, მათ დიდ რესურსს არ ვუთმობთ, რადგან ის ჩვენი საზოგადოებისთვის რეალური გამოწვევა არ გახლავთ.

ჩვეულებრივი გაციების კორონავირუსებისგან განსხვავებით, რომელიც სასიკვდილო არასოდეს არის, COVID-19-ის კორონავირუსის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1-5 პროცენტია. COVID-19-ის წინააღდეგ ჩვენ არ გვაქვს უკვე არსებული იმუნიტეტი, რადგან ადამიანებში ის აქამდე არასოდეს გამოჩენილა. ამჟამად ჩვენ მისი გავრცელების შეჩერებას ვცდილობთ, რადგან ის ხალხს კლავს და მისი გავლენა ჩვენს ყოველდღიურობაზე წარმოუდგენლად მძიმეა. 1918 წლის გრიპის ეპიდემიის შემდეგ, , პლანეტას მსგავსი არაფერი უნახავს.

– არის თუ არა რაიმე, რაზეც ფიქრობთ, რომ ეპიდემიოლოგებმა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელებმა სხვანაირად გაეკეთეს შიდსის პანდემიის აღმოსაფხვრელად და სულ სხვანაირად უნდა გავაკეთოთ ახლა, ამ პანდემიის დასამარცხებლად?

– შიდსის პანდემია ძალიან სუსტად იმართებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისში, ის მიიჩნეოდა დაავადებად, რომელიც ძირითადად გეი მამაკაცებს აინფიცირებდა. მაშინ ჰომოსექსუალობა გადახრად მიიჩნეოდა. პრეზიდენტ რეიგანს ისიც კი არ სურდა, რომ გამოეყენებინა სიტყვა შიდსი, აივი, გეი. შესაბამისად, ჩვენ ძალიან ნელა ვმოქმედებდით აივ-ის ეპიდემიის წინააღმდეგ, რადგან ამაში ხელს გვიშლიდა ჰომოფობია. თითქმის ორი ათწლეული დასჭირდა იმის აღიარებას, რომ ეს იყო ვირუსი, რომელიც მართალია ჰომოსექსუალ საზოგადოებაში უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ხშირად გვხვდებოდა მის მიღმაც, განსაკუთრებით აფრიკაში.

უნდა გაგვეცნობიერებინა, რომ მისთვის უნდა გვემკურნალა როგორც საზოგადოების საფრთხისთვის და არა მხოლოდ ადამიანთა ერთი კლასის დაავადებისთვის. ამის შემდეგ ჩვენ გაცილებით ეფექტიანი გავხდით მის პრევენციაში, რადგან ვახდენდით კონტაქტის პრევენციას და პარალელურად შევქმენით პრეპარატებიც. თუმცა, ამ ყველაფერმა დიდი დრო წაიღო.

1986 წელს, მე გახლდით მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმ კომიტეტის თანათავმჯდომარე, რომელმაც გამოსცა მოხსენება სახელწოდებით „შიდსის წინააღმდეგ“. ეს იყო აქტივობა, რომელიც ფედერალურ მთავრობას უნდა გაეტარებინა, თუმცა, მთავრობას

მასთან შეხებისაც კი ეშინოდა. შესაბამისად, მისი შესრულება საკუთარ თავზე მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აიღო და ქვეყნისთვის წარმოადგინა გეგმა ვირუსის შესასწავლად, საპასუხოდ და სამოქმედოდ. ფული კონგრესმა გამოყო და ჩვენც სერიოზული კვლევითი პროგრამა დავიწყეთ. თუმცა, ეს ყველაფერი ვირუსის ბუნების გარკვევიდან ხუთი წლის შემდეგ დაიწყო.

COVID-19-ის საწინააღმდეგო პასუხების დასაწყისი ძალიან ჰგავდა აივ-ის მიმართ ჩვენს პასუხს. ჩვენ მას რატომღაც მხოლოდ კონკრეტული ხალხის დაავადებად მივიჩნევდით, COVID-19 – ჩინელი ხალხის და შიდსს – ჰომოსექსუალების. მსოფლიომ მისი უარყოფა სცადა. სამეცნიერო საზოგადოებისგან ჩვენ ვიცოდით, რომ ვირუსი აინფიცირებდა არა მხოლოდ ხალხის ერთ რომელიმე ჯგუფს, არამედ ის ყველასათვის ვრცელდებოდა. როგორც კი შევიტყვეთ, რომ COVID-19 ინფექციური იყო, მაშინვე ვიცოდით, რომ ის მთელ მსოფლიოს მოედებოდა. ახლაღა გავიგეთ, რომ საშინელი ეპიდემია ნიუ იორკში სინამდვილეში თებერვალში დაიწყო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. თანაც, ის ევროპიდან მოვიდა და არა ჩინეთიდან.

სამეცნიერო საზოგადოება აცნობიერებს, რომ ახალი პანდემია პანდემიების ისტორიის ნაწილია და ის, რაც ერთხელ მოხდა, კვლავაც აუცილებლად მოხდება.

– რა შეგვიძლია ჩვენ, როგორც საზოგადოებას გავაკეთოთ, რომ მზად ვიყოთ შემდეგი ვირუსული პანდემიისთვის?

– რესურსები საკუთარი თავის დასაცავად უნდა მივმართოთ და შევქმნათ შესაძლებლობები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ეპიდემიოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ვაქცინები, სწრაფი საპასუხო ზომები და ზოგადად, ვირუსის მეცნიერება.

ჩვენ უნდა გვყავდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კადრები, რომლებიც ამ პრობლემებს გამუდმებით შეისწავლიან, დააკვირდებიან ყველა სახის ვირუსს ბუნებრივ გარემოში და სათითაოდ იტყვიან, რა მოხდება, თუ რომელიმე კონკრეტული ვირუსი გავრცელდება, ამავე დროს, მოვამზადოთ საკუთარი თავი. ჩვენ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. სინამდვილეში, ეს არც ისე ძვირია, მაგრამ, პირველ რიგში ნიშნავს, რომ ამ მხრივ დამოკიდებული არ უნდა ვიყოთ ჩვენს ინდუსტრიებზე, რადგან ეს ეკონომიკურად არც ისე მიმზიდველია.

ეს ყველაფერი საზოგადოებამ უნდა გააკეთოს და ამისათვის ფული უნდა ჩაიდოს. მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, მუდმივად ვხედავ, რომ ეპიდემიის დროს ვამბობთ: „ახლა ჩვენ ის უნდა შევისწავლოთ და შემდეგისთვის მოვემზადოთ“. თუმცა, სულ რამდენიმე წელიწადში ეს შემართება ქრება, გამოყოფილი ფულის მიმართვა სხვა პრობლემებისკენ ხდება და ბუნებრივ გარემოზე ზედამხედველობასაც თავს ვანებებთ. ვეშვებით ვაქცინებსა და პრეპარატებზე მუშაობაშიც; შედეგად, შემდეგი დაავადების გამოჩენისას ამ ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა ახლომხედველობა. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკის ყოველდღიური რეალობა გახლავთ.

– ახლა, როდესაც მკვლევრები პრეპარატებსა და ვაქცინებზე მუშაობენ, დანარჩენი საზოგადოება კი ჩვენი საკუთარი გზებით ვცდილობთ მობილიზებას, ვრჩებით სახლში, ვიღებთ თავდაცვით ზომებს, არის თუ არა რაიმე ისეთი განსაკუთრებული, რის გაკეთებასაც გვირჩევდით?

– გეტყვით, რომ ძალიან მოხიბლული ვარ იმით, რაც ახლა ხდება. ზოგმა კომპანიამ უბრალოდ თქვა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მთელი თავიანთი შესაძლებლობის მიმართვას იწყებენ ყოველგვარი ეკონომიკური მიზნების გარეშე. ვფიქრობ, ამ პრობლემას საკადრის პასუხს აუცილებლად გავცემთ, მაგრამ ეს პასუხი უკვე ძალიან გვიანია. ამ ეპიდემიამ დაგვანახა, რომ როდესაც ჯინი ბოთლიდან ამოვა, ის იმდენად ფართოდ და იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ სანამ მთელ ჩვენს თავდაცვით საშუალებებს მწყობრში მოვიყვანთ, უკვე ძალიან გვიანია. ჩვენ ძალიან დავაგვიანეთ.

ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს. აშშ-ს უკვე უნდა ჰქონდეს ეროვნული პროგრამა, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ შემდეგ ჯერზე, როდესაც ასეთი რამ კვლავ მოხდება, დაუცველები არ ვიქნებით.

მიხეილ ჟაბუკაშვილი,

მომზადებულია caltech.edu-ს მიხედვით.

◎ ფუტუროლოგია

კაცობრიობის მომავალი: ვირთაგვების ცივილიზაცია

შვეიცარიის ქალაქ დავოსში იანვარში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, ექსპერტთა აზრით, ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა თანამედროვეობის მთავარი ფუტუროლოგისა და ისრაელელი ისტორიკოსის ნოე იუვალ ჰარარის გამოსვლა, რომელმაც რჩეულ საზოგადოებას უახლოესი მომავლის მეტად შემაშფოთებელი სურათი წამოუსახა. ასეთი საფრთხე კი კაცობრიობას იმ შემთხვევაში დაემუქრება, თუკი ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე სათანადო კონტროლი არ დაწესდება.

წიგნში „ჰომო დეუსი“ („კაცღმერთი“) ნოე ჰარარი აცხადებს, რომ კაცობრიობამ სამი დიდი უბედურების დაძლევა შეძლო, რომლებიც მთელი ისტორიის მანძილზე მისი არსებობისთვის ყველაზე მეტად იყო საშიში. ესენია, **შიმშილი, მასობრივი ომები** და **ეპიდემიები**. მეცნიერის აზრით, დღესდღეობით კი კაცობრიობა სამი ახალი საყოველთაო საფრთხის წინაშეა, რომელთა შორისაა **ბირთვული ომი, ეკოლოგიური კატასტროფა** და **ახალი ტექნოლოგიებით ბუნების დაღუპვა**.

ჰარარმა თავის მოხსენებაში განაცხადა: „მოკლე დროში ავტომატიზაცია მილიონობით სამუშაო ადგილს გააუქმებს და, ახლების შექმნის მიუხედავად, არ არის იმის არავითარი რწმენა, რომ ადამიანები გადამზადებასა და ახალი უნარ-ჩვევების შეძენას შეძლებენ. ისინი კი, ვისზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა არ იქნება, **უსარგებლო კლასად** იქცევიან, ოღონდ არა ოჯახისა თუ ახლობლების, არამედ **ეკონომიკური** და **პოლიტიკური ელიტის** თვალსაზრისით“.

მაგრამ, ადამიანებსა და სოციალურ კლასებს შორის უთანაბრობაზე უფრო საშინელი იქნება მთელი კონტინენტების ლიდერი სახელმწიფოებისგან ჩამორჩენა, რომლებიც თავიანთ სამსახურში ხელოვნური ინტელექტის ჩაყენებას შეძლებენ. ამის შედეგად **მსოფლიოს მრავალი ქვეყანა კოლონიად გადაიქცევა**.

„ხელოვნური ინტელექტისთვის სრბოლა უკვე დაწყებულია და მასში აშშ და ჩინეთი ლიდერობენ, სხვა ქვეყნები კი მათ უიმედოდ ჩამორჩნენ. ხელოვნური ინტელექტის წყალობით, მისი განვითარების რამდენიმე ველში აურაცხელი სიმდიდრე მოიყრის თავს, დანარჩენი ქვეყნები კი ან გაკოტრდებიან, ანდა ციფრულ კოლონიებად გადაიქცევიან, – განაგრძო სწავლულმა.

მისი აზრით, სამხედრო ჩარევის აუცილებლობა თავისთავად მოისპობა, ვინაიდან ლიდერ-სახელმწიფოებს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პირის შესახებ ნებისმიერი სახეობის ინფორმაციაზე ექნება წვდომა, რაც თავის სასარგებლოდ მათი მანიპულირების საშუალებას მისცემს.

დღესდღეობით მდგომარეობა ისეთია, რომ სოციალური ქსელები გვკარნახობენ რომელ ახალ ამბებს უნდა ვეცნობოდეთ, რის ცქერა-მოსმენით გავერთოთ, რა საქონელი შევიძინოთ, რით ვიკვებოთ, რა წამლები მივიღოთ. ახლო მომავალში ასეთივე ალგორითმები სამუშაო ადგილისა და მეუღლის არჩევაში „დაგვეხმარებიან“.

ებრაელი მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ ანტიუტოპიის ცხადში ახდენის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზაა ყველა ქვეყნის ხელისუფალთა მჭიდრო თანამშრომლობა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ყველასთვის შესასრულებლად სავალდებულო ერთიანი წესების შემოღება.

„რა თქმა უნდა, თუკი ადამიანები გაქრებიან, ეს ქვეყნის დასასრულს სულაც არ ნიშნავს. ვიღაცა მაინც დარჩება, შესაძლოა ესენი ვირთაგვები იყვნენ, რომლებიც თავიანთ ცივილიზაციას შექმნიან. არც ისაა გამორიცხული, რომ მათ ჩვენი შეცდომები გაითვალისწინონ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ არის სასურველი, რომ დედამიწის მომავალი ვირთაგვებმა და არა პლანეტის დღევანდელმა ლიდერებმა განსაზღვრონ“, – ასეთია ებრაელი სწავლულის ვერდიქტი.

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

ინფიცირებულთა რაოდენობამ 3,4 მილიონს გადააჭარბა

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირების 3 421 834 და გარდაცვალების 244 791 ფაქტია გამოვლენილი. ვირუსის გავრცელებიდან დღემდე მსოფლიოში უკვე 1 092 715 ინფიცირებული გამოჯანმრთელდა.

პანდემიას მსოფლიოში ყველაზე ბევრი ადამიანი – 67 448 აშშ-ში ემსხვერპლა. გარდაცვლილთა რაოდენობით, მეორე ადგილზეა იტალია – 28 710, მესამეზე კი – დიდი ბრიტანეთი – 28 131.

სპორტული კომპლექსები და სავაჭრო ცენტრები... საავადმყოფოებად

მოსკოვში, კორონავირუსით ინფიცირებულთა ნაკადთან გასამკლავებლად სპორტულ კომპლექსებსა და სავაჭრო ცენტრებში დროებითი საავადმყოფოების გასახსნელად ემზადებიან.

რუსეთის მთავრობის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 125 000 ადამიანია ინფიცირებული, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი 122-ს შეადგენს. კორონავირუსით ინფიცირებისა და გარდაცვალების ახალი შემთხვევების რაოდენობით, უკვე რამდენიმე დღეა რუსეთი რეკორდს ხსნის – მხოლოდ გასულ დღე-ღამეში ქვეყანაში ინფიცირების 9 623 ახალი ფაქტი გამოვლინდა. ცნობისთვის, ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობით, რუსეთში სწორედ მოსკოვი „ლიდერობს“. მოსკოვის მერის სერგეი სობიანინის განცხადებით, კორონავირუსით მოსახლეობის 2 პროცენტია ინფიცირებული.

ნანორობოტები პანდემიის წინააღმდეგ

იაპონელი მეცნიერები მომავალ პანდემიებთან ბრძოლას ნანორობოტების დახმარებით აპირებენ. იაპონიის ნანომედიცინის ინოვაციური ცენტრის სპეციალისტებმა მიკრორობოტი შექმნეს, რომელსაც ორგანიზმში შესვლა და სიმსივნური უჯრედების განეიტრალება შეუძლია. როგორც „სფეროს“ მედიკოსები განმარტავენ, ელექტრონულად დამუხტული ნაწილაკების ორგანიზმში შეშვების ტექნოლოგია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უკვე კლინიკურ ტესტირებას გადის.

მეცნიერები ამ იდეაზე 9 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. მათი პროექტის მოქმედების სქემა ასეთია: სფეროსებრი ფორმის რობოტი უჯრედებში აღწევს და ერთგვარი კლინიკის როლს ასრულებს – ისინი ორგანიზმში ანომალიებს აფიქსირებენ, დიაგნოზს სვამენ და მკურნალობას იწყებენ. სპეციალისტების აზრით, სწორედ ამ გზით უნდა ებრძოლოს კაცობრიობა მომავალ პანდემიებს. ნანორომობოტები ინფექციას ადრეულ ეტაპზე გაანადგურებენ და იმუნური სისტემის უჯრედებს ვირუსის უჯრედების დამარცხებას „ასწავლიან“.

ეს ჩვენ გავლილი გვაქვს

საფრანგეთში ჩასული ადამიანები სავალდებულო ორკვირიან კარანტინს გაივლიან. დაწესებული ნორმა, რომელიც თვითიზოლაციის შესაძლებლობასაც გულისხმობს, სამშობლოში დაბრუნებულ ფრანგ მოქალაქეებსაც შეეხებათ. რეგულაციის მიზანია ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენცია.

„კარანტინი დაწესდება ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც საფრანგეთში დაბრუნდება“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა, ოლივერ ვერანმა პრესკონფერენციაზე.

ახალი რეგულაცია მითითებულია განკარგულებაში, რომელიც საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, 24 ივლისამდე მოქმედებს და რომელიც მთავრობას აძლევს უფლებას, შეზღუდოს თავისუფალი გადაადგილება. საფრანგეთი, რომელიც კორონავირუსის გავრცელების მასშტაბით ხუთეულშია გარდაცვალების 24, 594 შემთხვევით, გარკვეული შეზღუდვების მოხსნას 11 მაისიდან გეგმავს.



თარიღი

მარადიული დედოფალი

გუშინ ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის დაბადების დღე იყო. იგი საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებული და საჭადრაკო „ოსკარის“ პირველი მფლობელია. გარდა ამისა, ის ექვსჯერ გახდა სენიორებს შორის მსოფლიო ჩემპიონი. 1962, 1965, 1969, 1972 და 1975 წლებში ნონა გაფრინდაშვილი პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკე ქალი გახლდათ.

ის არის საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1976) და ვაჟთა შორის (1978, ჭადრაკის ისტორიაში პირველად). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის ჩემპიონი (1963, 66, 69, 72, 74, 78, 80, 82, 84, 86 – სსრკ ნაკრებში; 1992 – საქართველოს ნაკრებში).

სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1964, 73, 81, 83, 85); ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1969, 72). ჭადრაკის „ოსკარის“ პირველი მფლობელი (1982). საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი („ოქროს“ პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989-96) და საპატიო პრეზიდენტი (1996 წლიდან). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-86). 2001 წელს მისი სახელი თბილისის ჭადრაკის სასახლეს მიენიჭა.

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1996 წელს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო მიენიჭა: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიოს ასოციაციის საპატიო და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენები.

გეჭან დოლიძე

ვარსკვლავი ვარსკვლავზე

ლეგენდარული სამხრეთაფრიკელი გარემარბი ბრაიან ჰაბანა მამუკა გორგოძის კარიერის დასრულებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„პრივილეგიაა, რომ შანსი მქონდა შენი საოცარი კარიერის ნაწილი ვყოფილიყავი. ნამდვილი ლეგენდა ხარ!“, – დაწერა ჰაბანამ.

შეგახსენებთ, რომ ბრაიან ჰაბანა და მამუკა გორგოძე თანაგუნდელები ფრანგულ „ტულონში“ იყვნენ. სამხრეთაფრიკელი მორაგბე 2007 წელს მსოფლიო თასის მომგები ნაკრების წევრი იყო და „ქურციკების“ შემადგენლობაში ჩატარებულ 124 მატჩში მეტოქე 67-ჯერ დაალელოვა.

კოგა კოგახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ფამაგუსტას „ანორთოსისის“ მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას საკმაოდ წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა და თავის დროზე „ნიუკასლ იუნაიტედის“ ღირსებას 1997-2000 წლებში იცავდა.

მართალია, ქართველმა შემტევმა „კაჭკაჭების“ რიგებში წარუშლელი კვალი დატოვაო, ვერ ვიტყვით და დღემდე 1998 წლის იანვარში „ბოლტონთან“ გოლის ემოციური აღნიშვნითაა ყველაზე მეტად ცნობილი, თუმცა, ალბიონურ კარიერაში თემურს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თამაში ჰქონდა.



„ნიუკასლის“ რიგებში ჩვენებური ახალი გადასული გახლდათ, უფრო კონკრეტულად 1997 წლის 27 აგვისტო იყო და ინგლისური გუნდი ზაგრებში „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვდებოდა. პირველი დუელი „სენტ ჯეიმს პარკზე“ მასპინძლებს 2:1 მოეგოთ.

„ნიუკასლისთვის“ ზაგრებშიც ყველაფერი კარგად მიდიოდა და 45-ე წუთზე ფაუსტინო ასპრილამ პენალტით ანგარიში გახსნა, ხოლო მასპინძლები გორან იურიჩის გაძევების გამო კაცნაკლულნი დარჩნენ. თუმცა, ხორვატები რისი ხორვატები იქნებოდნენ, მებრძოლი ხასიათი რომ არ გამოევლინათ. 58-ე წუთზე დარიო შიმიჩმა ამ მატჩში, ხოლო ბოლო წუთზე იგორ ცვიტანოვიჩმა ორმატჩიან დუელში ანგარიში გაათანაბრეს – 2:1 (1:2). შედეგად, დამატებითი დრო დაინიშნა იმის გასარკვევად, ვინ გავიდოდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

თემურ ქეცბაია მოედანზე მხოლოდ 102-ე წუთზე გამოჩნდა, როდესაც დანიელი იონ დალ ტომასონი შეცვალა, 119-ე წუთზე კი, როდესაც ყველა პენალტების სერიისთვის ემზადებოდა, ასპრილიას პასით შეძლო ბურთის გატანა და ყველაფერი გადაწყვიტა – 2:2. ამ გოლით „ნიუკასლი“ ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, სადაც კიევის „დინამოსთან“, „პსვ ეინდჰოვენთან“ და „ბარსელონასთან“ ჭიდილში 7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. „კაჭკაჭებმა“ ესპანურ გრანდს კი აჯობეს, მაგრამ სატურნირო ცხრილში „პსვ“-ს და „დინამოს“ ჩამორჩნენ.

* * *

ამსტერდამის „აიაქსს“ ჰაკიმ ზიეჩის პოზიციაზე გიორგი ჩაკვეტაძის ყიდვა ურჩიეს. მაროკოელი ზაფხულში ლონდონის „ჩელსიში“ გადავა. ეს ტრანსფერი ჯერ კიდევ იანვარში დადასტურდა და ამიტომ ჰოლანდიურ გრანდს მისი შეცვლა მოუწევს.

ადგილობრივი გამოცემა voetbalzone.nl-ი სწორედ აფრიკელის პოტენციურ მემკვიდრეებზე წერს და ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რომ სიაში გიორგი ჩაკვეტაძეა. ნიდერლანდური ვებ-გვერდის აზრით, ზიეჩის შეცვლა „ქართველ კაკას“ შეუძლია.

„გენტმა“ თითქმის სამი წლის წინათ მოახერხა ჩაკვეტაძის გაფორმება თბილისის „დინამოდან“ და არაერთ უფრო დიდი რეპუტაციის გუნდს აჯობა. „ქართველი კაკას“ წასვლის შემდეგ „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ განაცხადა, რომ მის დამატებას „ლივერპული“, „ტოტენჰემი“, „ჰოფენჰაიმი“ და „ლევერკუზენი“ ცდილობდნენ. ჩაკვეტაძე ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და განვითარებისთვის საკმარისი დრო აქვს. სანამ მძიმე ტრავმას მიიღებდა, იგი „გენტის“ ლიდერი იყო გოლებით და შედეგიანი პასებით. მიმდინარე სეზონში მისი დრო დაზიანების გამო შეზღუდული იყო, მაგრამ ახლა სრულად გამოჯანმრთელდა და მისით უკვე დიდი ხანია თურქული „ტრაბზონსფორი“ და იტალიური „რომა“ არიან დაინტერესებულნი. „გენტში“ ჯონათან დავიდის შენარჩუნების იმედი აღარ აქვთ და ამიტომ ჩაკვეტაძის დატოვებას ყველანაირად ეცდებიან, რამაც შესაძლოა მოლაპარაკებების გართულება გამოიწვიოს“, – წერს voetbalzone.nl.

შეგახსენებთ, ჩაკვეტაძეს „გენტთან“ კონტრაქტი 2023 წლამდე აკავშირებს და მისი სატრანსფერო ღირებულება 6.7 მილიონი ევროა. 2019-2020 წლების სეზონში ჩვენებურმა 12 მატჩში 2 საგოლე პასი მიითვალა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, გამოცემის აზრით, ჩაკვეტაძესა და ზიეჩს შორის 92%-იანი მსგავსებაა.

ცხადია, გამოცემა ჩაკვეტაძის გარდა ზიეჩის სხვა პოტენციურ შემცვლელებზეც წერს – ალექს ბერენგერი („ტორინო“), რომანო შმიდი („ვოლფსბერგერი“), ებერიჩი ეზე („ქპრ“), ლუდოვიკ ბლაზი („ნანტი“), კალვინ სტენგსი („ალკმაარი“) და პედრინიო („კორინთიანსი“).

* * *

ინგლისის პრემიერლიგის კლუბებს სეზონის ავსტრალიაში განახლების ვარიანტი შესთავაზეს, – წერს გაზეთი „სანი“.

როგორც ინგლისური გამოცემა იუწყება, ლიგის ხელმძღვანელობა პრემიერლიგის მატჩების ავსტრალიის ქალაქ პერტში ჩატარებას განიხილავს. უფრო ადრე, პრემიერლიგის კლუბების ვიდეოკონფერენციისას გამოაცხადეს, რომ ჩემპიონატის დასრულება მხოლოდ ნეიტრალურ მინდვრებსა და ცარიელი ტრიბუნების თანხლებით შეიძლება.

„უკვე გაიმართა მოლაპარაკებები პრემიერლიგის კლუბების წარმომადგენლებთან. მათ ავსტრალიის იდეა მოეწონათ. ასევე იყო კონტაქტი ავსტრალიის მთავრობის ოფიციალურ პირებთან და ისინიც გამოხატავენ ენთუზიაზმს, რადგან ავსტრალიაში უსაფრთხო ვითარებაა და ხელისუფლებამ ბევრი შეზღუდვა მოხსნა“, – დაწერა პრემიერლიგის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა წყარომ. ბოლო მონაცემებით, ავსტრალიაში კორონავირუსით დაინფიცირების 6778 შემთხვევაა გამოვლენილი. 93 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 5775 გამოჯანმრთელდა.

გიორგი შუთაძე

თანამედროვე

ის, რაც არ იცით

ქართველმა ფალავანმა **ნიკოლოზ შერაზადიშვილმა,** რომელიც ესპანეთის სახელით ასპარეზობს და ამ ქვეყნის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონია, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასთან ბლიც-ინტერვიუში ისაუბრა.

კარიერის დასაწყისი – ძიუდოზე 10 წლისა მამაჩემის გამო მივედი, რადგან ისიც ძიუდოისტი იყო.

ფავორიტი ილეთი – უჩი მატა, რადგან მაღალი ვარ და გრძელი ფეხები მაქვს.

ფავორიტი საჭმელი – ხინკალი.

ფავორიტი მუსიკა – ბევრ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ გამორჩეულად – ბრუნო მარსს.

გმირი – ჩემი გმირია მუჰამედ ალი.

ფავორიტი ძიუდოისტი – ვარლამ ლიპარტელიანი, რადგან ძალიან თანმიმდევრული და ჭკვიანია. ძალიან მომწონს მისი შესრულებული უჩი მატა.

რომ არა ძიუდო – აუცილებლად სპორტში ვიქნებოდი და, სავარაუდოდ, წყალბურთელი გავხდებოდი.

საუკეთესო მოგონება – 2018 წელს ბაქოში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობა. ფინალში ვაზარის აღების შემდეგ ჩემს მწვრთნელს გავხედე და ტიროდა. ძალიან ემოციური მომენტი იყო. დარბაზში ბევრი ქართველი მქომაგობდა, რადგან აზერბაიჯანი საქართველოსთან ახლოსაა და ჩემს საგულშემატკივროდ ჩამოვიდნენ. ჩემი ოჯახისთვის, ჩემი მწვრთნელისთვის ბედნიერების მომტანი ვიყავი. ეს იყო ესპანეთის ძიუდოს ისტორიაში პირველი ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე.

რატომ ძიუდო – იმიტომ, რომ მასშია პატივისცემა და გვასწავლის ცხოვრებისეულ ფასეულობებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ლეგენდა

მიდი, მაიკ!

რამდენიმე დღის წინათ კრივის ლეგენდამ მაიკ ტაისონმა განაცხადა, რომ საჩვენებელი ბრძოლის გამართვა სურს.

როგორც ჩანს, ტაისონი არ ხუმრობდა და საქმეს ძალიან სერიოზულად მიუდგა. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა ვიდეო, სადაც 53 წლის მაიკი გიგა ჭიკაძის მთავარ მწვრთნელ რაფაელ კორდეიროსთან ერთად ვარჯიშობს. მოგვიანებით ტაისონმა განაცხადა, რომ ის აქტიურად ემზადება რინგზე დასაბრუნებლად.

მანუჩარ გიორგაძე

ტურიზმის პანდემია ეკონომიკას კლავს!

„ძვეშანაში არ არის განვითარებული ტურიზმის მომსახურე საწარმოები, ამიტომ ტურისტის შემოტანილი დოლარი იხარჯება იმპორტირებულ საქონელზე ანუ ისევ უკან გადის“!..

ტურისტულ პანდემიას უწოდებენ იმ ვითარებას, როდესაც ტურიზმი არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში განსაზღვრავს შემოსავალს, არამედ მთელ მსოფლიოს მოიცავს და ამით ადგილობრივ რესურსებზე დამყარებული მსოფლიო ეკონომიკა ავადდება და კვდება – ამის შესახებ „პროგრესნიუსთან“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, მწერალი **ვაჟა კაკაბაძე** საუბრობს.

– 2017 წელს საქმიანი ვიზიტით ვიმყოფებოდი ქალაქ რომში. შეხვედრა მქონდა კათოლიკური სკოლის პრეზიდენტთან და ბევრ საინტერესო საკითხებზე ვისაუბრეთ. შეხვედრის დასასრულს მინდოდა, ჩემი კეთილგანწყობა გამომეხატა და ვუთხარი: „რომი ლამაზი და უძველესი ქალაქია, ბევრი ტურისტი და, შესაბამისად, მაღალი შემოსავალი აქვს ამ საქმიანობიდან“ და იცით, რა მიპასუხა? „ეს მუქთა ფულია, რომელიც რისკიან შემოსავალს ქმნის, რადგან თუ ტურისტული საქმიანობა შეწყდა, მასზე მიბმული ყველა საქმიანობა გაჩერდება და ბიზნესმენები უეცრად გაკოტრდებიან“. მაშინ მისი ნათქვამი სასაცილოდ მომეჩვენა, მაგრამ დღეს აქტუალურად მეჩვენება. არადა, ჩვენი ხელისუფლება ისევ ტურიზმის განვითარების მიმართულებით აპირებს მნიშვნელოვანი თანხის მიმართვას.

– პანდემიის გამო, რომელიც ადრე თუ გვიან დასრულდება, ტურიზმზე უარი რატომ უნდა ვთქვათ?

– როგორც ეკონომისტი, ამის წინააღმდეგი ვარ, რამეთუ ბევრად უფრო მომგებიანია ადგილობრივ რესურსებზე დამოკიდებული წარმოების და ბუნებრივ გარემოსთან შეგუებული კულტურული მემკვიდრეობის, მეცხოველეობის და მსგავს პირობაზე აგებული სხვა სფეროების განვითარება. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ ადგილობრივ რესურსებზე და გარემოსთან ადაპტირებული სამეურნეო საქმიანობის განვითარება? ამ შემთხვევაში პასუხი მოკლეა: დანახარჯები მცირე იქნება. ჩემი პასუხი გამომდინარეობს ეკონომიკის აბსოლიტური თეორიიდან. ასევე შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რას ერჩის ტურიზმს? პასუხი: არაფერს, მაგრამ ტურიზმი ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსი გააჩნია, უნდა იყოს მხოლოდ დამატებითი შემოსავლის წყარო (ოქროს, სპილენძის, მანგანუმის მოპოვებიდან და რეალიზაციიდან ნახევარი თვის შემოსავალი აღემატება ტურიზმიდან მთელი წლის შემოსავალს). დღევანდელმა ვითარებამ კარგად დაგვანახა, რომ ტურიზმი არ არის გარანტირებული შემოსავლის წყარო და, მით უმეტეს მაშინ, როცა ტურიზმის მკვებავი საწარმოები ქვეყანაში არ არის განვითარებული; ამასთან ტურიზმი არ ქმნის რეალურ პროდუქტს და, მაშასადამე, ხელს უწყობს ლარის გაუფასურებას – ესეც ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს, ისიც საყურადღებოა, რომ ტურისტი საქართველოში ახორციელებს ლარში ვაჭრობას, რაც ზრდის ლარის მოცულობას ბრუნვაში და იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არის განვითარებული ტურიზმის მომსახურე საწარმოები, მათ მიერ შემოტანილი დოლარი იხარჯება იმპორტირებულ საქონელზე, ანუ ისევ უკან გადის.. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მსოფლიო პანდემიის პირობებში ტურიზმი მაღალი დანახარჯების მქონე ეკონომიკური საქმიანობა გახდა.

„პროგრესნიუსი“

სანთელი

ძმა დავითი, და ქეთევან გურგენიძეები, ძმისშვილი ლევან გურგენიძე ოჯახით, დისშვილები მანანა, მაია, გიორგი იმერლიშვილები, ეკა თევზაძე, თათა და გიორგი რამიშვილები ოჯახებით, სიძეები ლევან არჩვაძე, რეზო ჩაჩხიანი, დათო რეხვიაშვილი, რძლები დოდო ჩიხლაძე, ნინო ლორთქიფანიძე, ანი გამგებელი, ნათია ცისკარაშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი გურგენიძე

მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №16, IV სად. III სართ. ბ. 71;
გამოსვენება: 5 მაისი, 14 სთ.
დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, ლამარა გაგუა, მადონა მგელაძე, დალი ბოჯგუა, მანანა გოჩალეიშვილი გულის ტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, მოყვასის სიყვარულით, თანადგომით და ერთგულებით გამორჩეული ქალბატონის

ნელი გურგენიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული წიგნის დიდი ქომაგი, ასოციაციის გამგეობის წევრი, უკეთილშობილესი ქალბატონი

ნელი გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

საჩხერესა და სილნაღში სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლიან

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე სტიქიის შედეგად დაზარალებულ საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩავიდა და მიყენებულ ზარალს ადგილზე გაეცნო.

მისი განცხადებით, უხვი ნალექის შედეგად მუნიციპალიტეტში მთის რამდენიმე მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა და საავტომობილო გზები და სავარგულები დააზიანა.

* * *

სილნაღის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა სტიქიის შედეგებს ითვლის. ძლიერმა სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზარალა წნორისა და ანაგის მოსახლეობა. სტიქიამ ვენახები, ხეხილის ბაღები და ბოსტნეულის კულტურები გაანადგურა.

დაზარალებული ფერმერები ამბობენ, რომ შემოსავლის გარეშე დარჩნენ და ახლა ცდილობენ, ვაზი მომავალი წლისთვის გადაარჩინონ. ადგილობრივ ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დროულმა მოქმედებამ რეგიონი დიდ ზარალს გადაარჩინა.

ყვარლის ჩაკეტვა ან ზომების გამკაცრება არ იგეგმება

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე ყვარლის შესაძლო ჩაკეტვა ან ზომების გამკაცრება არ იგეგმება. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, დღევანდელი მონაცემებით, კორონავირუსით ერთი ადამიანია ინფიცირებული და გამოკვეთილია 147 კონტაქტი.

მისი თქმით, რეგიონში მოსახლეობის თერმოსკრინინგი გრძელდება, განსაკუთრებით კი, მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც არიან ექიმები, პოლიციელები და ასე შემდეგ.

„როგორც მოგეხსენებათ, მთელ ქვეყანაში და მათ შორის რეგიონში ტარდება გაფართოებული, მიზანმიმართული PCR კვლევები მოწყვლად ჯგუფებზე. ესენი არიან პირველ რიგში, ექიმები, პოლიციელები და ის ადამიანები, ვინც ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან. ამიტომ, დღესაც გრძელდება ეს პროცესი.

ამ პირების PCR ანალიზი კეთდება და ლუგარის ლაბორატორიაში იგზავნება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამპანიის ფარგლებში აღმოჩნდა სწორედ ის ქალბატონი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ. დავამატებ იმასაც, რომ ყველა სოფელში გრძელდება მუნიციპალიტეტის ძალებით თერმოსკრინინგის პროცესი. ზოგადად, მსოფლიოში კოვიდ 19-ის საფრთხეა, ეს საფრთხეა ჩვენთანაც. ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ საფრთხის მიმართ ბოლომდე ადეკვატურები ვიყოთ“, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ღია ტიპის ბაზარი გაიხსნა

ბაზარში კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული ყველა აუცილებელი რეკომენდაცია სრულადაა დაცული. ადგილზე დასაქმებულებსა და მომხმარებლებს უტარდებათ თერმოსკრინინგი. სამუშაო პროცესი კი პირბადეებითა და ხელთათმანებით ხორციელდება.

ღია ტიპის სავაჭრო საბითუმო სივრცეში არსებულ ვითარებას დილიდან, პირადად აკონტროლებდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი რამაზ ბუდაღაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურები.

კორონავირუსისგან მეცხრე პაციენტი გარდაიცვალა

პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, კორონავირუსისგან გარდაცვლილი კიდევ ერთი პაციენტი დაახლოებით 60 წლის ასაკის ქალია.

კლინიკის ხელმძღვანელის ლევან რატიანის განცხადებით, გარდაცვლილს მძიმე ქრონიკული პათოლოგიები ჰქონდა.

„ეს არის ქალბატონი დაახლოებით 60 წლის ასაკის. ანამნეზი დატვირთული ქრონიკული პათოლოგიებით. ქალბატონი იყო ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციით, ბრონქული ასთმით, იყო კოვიდ ინფიცირების შედეგად განვითარებული ორმხრივი მწვავე პნევმონია, მწვავე რეპირატორული დისტრეს სინდრომი.

პაციენტი ჯერ მოთავსდა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, ვინაიდან ვერ იმართა სუნთქვის უკმარისობა, პაციენტი გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში. იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე. რამდენიმე წუთის წინ დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. კლინიკურად სახეზე იყო მძიმე სომატური პათოლოგიების ფონზე განვითარებული პოლიორგანული კლინიკა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, მიოკარდიტი“, – განაცხადა ლევან რატიანმა.

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური დირექტორის ლალი ტურძელაძის განცხადებით, ე.წ. სპორტსმენის კლასტერიდან იყო. ის სპორტსმენის დედაა და კლინიკაში ორი კვირის განმავლობაში მკურნალობდა.

სილამაზის სალონების მომსახურება შესაძლოა, გაძვირდეს

„მოსალოდნელია სალონებში ფასების ზრდა. ამის მიზეზია არა მხოლოდ ქირის გადასახადი, არამედ ახალი რეგულაციები, რამაც გამოიწვია სალონებისთვის დანახარჯების გაზრდა. აუცილებლად გაძვირდება მომსახურებაც“, – ამის შესახებ „ტვ პირველის“ ეთერში სილამაზის სალონების ფედერაციის პრეზიდენტმა თამუნა შარაშენიძემ განაცხადა.

„სალონების მფლობელები დაბნეული არიან, ვის და ვის შორის უნდა იყოს დაცული 2-მეტრიანი დისტანცია. ძალიან ბუნდოვანია რამდენი ადამიანის ერთად ყოფნა არის შესაძლებელი ერთ სივრცეში. ზოგს 10 კვ.მ სალონი აქვს და ზოგს კი 200-300 კვ.მ. დიდი ფართის ქირაობა გაცილებით ძვირი ღირს, დამეთანხმებით, და შესაბამისად, 3 ხელოსნით ვერ მოიტან იმდენ შემოსავალს, რომ ამხელა ქირა გადაიხადო. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ დაზუსტებას მოითხოვს“, – ამბობს სალონების ფედერაციის პრეზიდენტი.

სატრფიალები

სააკაანთ მიხოს

„საქართველოში კულტურა მე შევიტანე,
ჩემამდე ქართველები გომჟეგი იყვნენ“.
(ამონარიდი მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუდან)

მიხო, მიხო პრუტუნავ,
სიცილით ნუ გვხოცავო;
შენ გვასწავლე კულტურა,
შე წკვინტლმოუხოცავო?!
რა ზნემ წამოგიარა,
რო ვერ მიხვდი, უზრდელო,
შენებრ „გომჟით“ კი არა,
რუსთველიდან ვრუსთველობთ!

„შეწყალების“ შსტარის ავტორებს

ვაშაძეებს, გუგაზ სანიკიძესა და სხვა თვითმარქვიებს

ცხვრის ტყავს ვიდრე გადიკრავდეთ,
ამგობთ, თითქოს თავს ვიკლავდეთ
გიჟი მიხოს დაცვისას,
როცა დათვლა მარტივია,
220 პარტიიდან
რამდენია ნაცისა.
თუმცა მიხოს წახედვითა,
ხელიდან სულ წახვედით და
რადგან იგი უკრაინამ შერისხა,
„მიშა, მიშას!“ ძახილითა
საქართველოს სახელითა
„შეწყალების“ წერილს გზავნით ზელენსკთან!

შური სხვისა სიკეთესა ზედა

თქმული რიგით მეოთხე ნაპრეზიდენტალზე

„ფილოსოფოსნი შემოკრბნენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა“,
მარგველაშვილი გიორგი რად გახდა სასაცილოდა?
ითქვა, ნაპრეზიდენტალი თურმე იმიტომ გიუდება,
შეშურდა ქართველ ექიმთა „თეთრ სახლში“ მიპატიჟება!

ნაჩო სანჩესს!

უგულავა ციხეში კი არა, მოლაპარაკეგის
მაგიდასთან უნდა იჯდესო! –
გრძანა ევროსაგჯოს დევუშტატმა ნაჩო სანჩესმა.

მხარს რომ უჭერ ფლანგვას ნაჩვევს,
ესპანელო დეპუტატო ნაჩო სანჩესს,
ორმოცდაათ მილიონის
მიმტაცებელს როცა იცავ,
მიტევება სთხოვე გამჩენს?

დიდი მამის პატარა შვილს!

თქმული გუგაზ სანიკიძეზე

თვალები რამ აგიჭრელა
დიდი მამის პატარა შვილს,
ვინც გაცმევდა, ვინც გაჭმევდა,
რომ გაცვალე სატანაში?
ღმერთო, მოგვეც მოთმინება
ამ ღიპოსნის ატანაში!

ეგებ გაწმინდოს სოდომ-გომორიც?!

თქმული კორონა ვირუსზე

როგორც ამგობენ, ზოგჯერ ჭირიც მარგებელია,
თუ ქვეყანაში შინა მტერი ძალზე ბევრია,
თავგამეტებით სკამებისთვის როცა იბრძვიან
მავანთათვის კი საქეზარი მხოლოდ სიძვეა.
და რადგან ჭირმა ცა კვამლისგან
ისე გაწმინდა,
რომ ავ ტაროსში მჟავე წყალი
აღარ გვაწვიმდა,
მუხლმოდრეკილი მოიმედედ ვრჩები
„კორონის“,
ეგებ გვაკმაროს ნაც-ბაცნეგის
სოდომ-გომორიც?!

ალექსანდრე შენგელია

ვულოცავთ!

განსაკუთრებით გვეძვირფასები

მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო, — სომ გახსოვთ?

სწორედ ამ ჩვენი ბავშვობისდროინდელი სტრიქონებივითაა **შორენა გვილიას** საქმე — მართალია, ჯერჯერობით საკუთარი პირმშო არ ჰყავს, მაგრამ მშობლიურივით გულის სითბოს უშურველად უნაწილებს მრავალრიცხოვანი სადედმამიშვილოს ნაშიერებს და ალალად შენატრის მათ დაფრთიანებასა და დაქალიშვილება-დავაჟკაცებას.

ეს, ასე ვთქვათ, პორტრეტი ოჯახურ ინტერიერში, მაგრამ ჩვენთვის, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომელთათვის, იგი განსაკუთრებით ფასეული (უფრო ზუსტად — შეუფასებელი) პროფესიონალიზმითა და საქმისადმი სამაგალითო დამოკიდებულებითაა გამორჩეული. ალბათ, საუკუნოვანი გაზეთის თითოეულ შემოქმედებით თუ ტექნიკურ მუშაკს ამიტომაც გვეძვირფასება ვეტერანი თანამოაზრე, უკვე საპენსიო ასაკი რომ „დაკეცა“.

გილოცავთ და უსაზღვრო სიხარულს გისურვებთ, კოლეგა!

„სრ“ რედაქცია

ქველმოქმედი ასი წლის შესრულდა

ბრიტანელი ვეტერანი ტომ მური, რომელმაც საკუთარ ბაღში სეირნობით ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურისთვის 37.4 მილიონ დოლარი შეაგროვა, 100 წლის გახდა.

საჩუქრად მას მთელი ქვეყნიდან 125 ათას მისალოც ბარათზე მეტი გაუგზავნეს, მათ შორის დედოფალმა ელისაბედ მეორემ. ამასთან, მურს, რომელმაც კაპიტნის წოდება ჰქონდა, ჯანდაცვის სისტემის დახმარებისთვის საპატიო პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. კაპიტანმა ტომმა, როგორც მურს ეძახიან, მსოფლიოს ყურადღება ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში მიიპყრო, როცა ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურისთვის თანხების შეგროვების შესახებ განაცხადა. შემდეგ კი ბრიტანელ ტენორ მაიკლ ბოლთან და მედიკოსების გუნდთან ერთად სიმღერა You'll Never Walk Alone შეასრულა, ბრიტანული მუსიკალური ჩარტის ყველაზე ასაკოვანი ლიდერი გახდა და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა.

ვირტუოზი მოხუცებულებს ამხნევებს

ერთადერთი მუსიკოსი, რომელსაც პირადი საკონცერტო ორგანი აქვს ბერლინში, მოხუცებულთა სახლებთან კონცერტებს მართავს. 39 წლის კემერონ კარპენტერმა მუსიკალური ინსტრუმენტი თავად ააწყო და ვირტუალური ტექნიკის გამო მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.

კორონავირუსის პანდემიის გამო კარპენტერის კონცერტები გადაიდო, თუმცა მან მოხუცებულების მხარდაჭერა გადაწყვიტა და ბერლინში სხვადასხვა თავშესაფართან უკრავს. ის ორგანთან ერთად გერმანიის დედაქალაქის ქუჩებში სპეციალური სატვირთო მანქანით გადაადგილდება, რომელიც ერთგვარ მოძრავ სცენად აქცია.

ყველაზე პატარა რესტორანი

შვედეთში წყვილმა მსოფლიოში ყველაზე პატარა რესტორანი გახსნა. რასმუს პერსონის და ლინდა კარლსონის რესტორანი ვერმლანდში, სტოკჰოლმიდან 350 კილომეტრშია განლაგებული. რესტორანი მინდორში მოთავსებულ მაგიდას და 1 სკამს წარმოადგენს. მთავარი, რასაც რასმუსი და ლინდა სტუმრებს სთავაზობენ ის არის, რომ მათ სხვებთან კონტაქტი არ მოუწევთ და ჭამას მშვიდად მოახერხებენ. მათი თქმით, ეს ინდივიდუალური გამოცდილებაა, რომლითაც ადამიანი მარტო უნდა დატკბეს.

რესტორანში ოფიციანტი არ არის. დღეში აქ მხოლოდ 1 სტუმარს მასპინძლობენ და მხოლოდ 1 კერძით უმასპინძლდებიან. რასმუსი და ლინდა ამბობენ, რომ ებრძვიან იმ უსიამოვნო გრძნობას, როცა ადამიანს ჭამის დროს ვიღაც უყურებს. რესტორანი მხოლოდ 1 აგვისტომდე იმუშავებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიძოგავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1923; ევრო - 3.5048;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0076;
100 რუბლი - 4.2341; თურქული ლირა - 0.4540;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8827;
1000 სომხური დრამი - 6.6506.

ამინდი 4 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +24
თბილისი: ღამე +12, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge